საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი-კვირა, 27-28 ივლისი. 2019 წ. №152 (8818) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცურება ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

კანონი მკაცრად უნდა ვაკანონოთ!

ვინ ჯიჯგნის საქართველოს?!

ამ პატარა წერილში თავიანთი კერძო მიზნებისთვის საქართველოს მჯიჯგნელ არაკაცებსა და არაქალებზე მინდა ორიოდ სიტყვის თქმა.

ყოფილი ნაციონალის არსებობა არ დაიჯეროთ, არ შეცდეთ. ნაციონალი ისევ ისე ნაციონალად რჩება ყოველგვარ ვითარებაში. თუმცა, გრძელენაგადმოგდებული ვითომ გულწრფელობს, ის აღარა ვარ, რაც ვიყავიო, ენაბრტყელობს. ამის უდავო მაგალითია თუნდაც მავნე, ძალაუფლებისთვის გაგიჟებული გიულის ბიჭისგან კარგა გვარიანად ჭიტლაყამოკრული და ქვეყნიდან გაძევებული ოქრუაშვილი, რომელიც ახლახან კვლავ გამოჩნდა პოლიტიკურ სარბიელზე როგორც ისევ დემაგოგი, პროვოკატორი და კიდევ უფრო მეტად განაციონალებული.

არადა, უთუოდ ბევრს ემახსოვრება მწარედ ჭიტლაყამოკრული როგორ იქადნებოდა, დრო მოვა და სააკაშვილი ჩემი ხელიდან გატიალდება, თუ საჭირო გახდა, მიწიდანაც ამოვილებ, მწვირეში ამოვსვრი, ამ დღეში ჩემ ჩაგდებას არ შევარჩენო.

არ შეარჩინა კი არა, ნაყაჩაღარი ფულისგან გალაღებულმა ახალი გზების ძებნა დაიწყო მავნე სააკაშვილის პოლიტიკურ უკანალში შესაძრომად. თუ მაშინ არ გამოუვიდა ოპოზიციური პარტიის შექმნა, ახლა „ივანიშვილის ქვეყნიდან მოსაშორებლად“ ახალი პარტია ჩამოაყალიბა ისეთ განაწყენებულ ოდიოზურ პიროვნებებთან ერთად, როგორიცაა ლიპიანი, ყოვლისარმცოდნე სანიკიძე, კაცობის ძარღვგაწყვეტილი, ძველი, კარგი გუბაზ მეფის შემარცხვენელი სეხნია. თანაც არ იკითხავთ, რა დაარქვა გვარში ოქროგარეულმა ჟანგიანმა ნაციონალმა თავის ახალ გამოჩორკნილ პარტიას?! რა და, „გამარჯვებული საქართველო“! განა უფრო მეტი თავხედობა და უტიფრობა გაგონილა?! თავისი მოკლე ჭკუით ვითომ გაიმარჯვა კიდეც!

ამიტომაც არის ის ჩვენი სამოქალაქო საზოგადოების იდეურად ჯანსაღი ნაწილის თვალში ნაძირალა და ყველაფრის მკადრებელი არაკაცი. ყველაფრის მკადრებელს რომ ვამბობთ, ცხადია, უწინარესად სიბილწე და სიბინძურე იგულისხმება, ანუ, როცა ადამიანს სირცხვილის გრძნობა აქვს დაკარგული და არაკაცობის ტყლაპოში ისე მიალაჯებს, როგორც აბიბინებულ მდელოზე.

იხ. 2 გვ.

ამერიკული „პოსეიდონი“ ქართულ საჰაერო სივრცეში

საქართველოში პირველად ჩამოფრინდა აშშ-ის საზღვაო ძალების საპატრულო ავიახომალდი P-8 „პოსეიდონი“, – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის საელჩოს ფეისბუქგვერდზეა აღნიშნული.

„ამ ისტორიული ვიზიტისას „პოსეიდონმა“ შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში საქართველოს სანაპირო დაცვასთან ერთად წვრთნები ჩაატარა. საზღვაო პატრულირების ავიახომალდის საქართველოში შემოსვლა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩვენი ორი ქვეყნის მტკიცე სამხედრო პარტნიორობას“, – აღნიშნავს საელჩო და სოციალურ ქსელში საპატრულო ავიახომალდის ფოტოებსაც აქვეყნებს.

მილიონის ნაცვლად 7 000 ათასი

მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდათ. თბილისის საქალაქო სასამართლომ „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლებს, მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეუფარდა, თითოეულს 700 000 ათასი ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, მათ აეკრძალათ საზღვრის დატოვება შესაბამისი ორგანოების გაფრთხილება-თანხმობის გარეშე. გენერალური პროკურატურა მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძისთვის აღკვეთის ღონისძიებად გირაოს სახით თითოეულისთვის მილიონი ლარის შეფარდებას ითხოვდა. დაცვის მხარემ კი დააყენა შუამდგომლობა სასამართლოს ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე არ გამოეყენებინა. მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს ბრალი 24 ივლისს წარედგინათ, ჯგუფურად, 16 664 000 ამერიკული დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, რასაც ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. **საქმეზე წინასასამართლო სხდომა 12 სექტემბერს ჩაინიშნა.**

ომარ მარგველაშვილი:

ნაცური ოპოზიციის მიზანმიმართული არეულობა საქართველოში

საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობა რომ მძიმეა, მტკიცება არ სჭირდება. ქვეყნის ყველა მოქალაქე საკუთარ თავზე გრძნობს იმ გაუსაძლის ვითარებას, რასაც აქვს ადგილი, თან იმასაც გრძნობს, რომ სამომავლოდ ვითარება უკეთესობისკენ არ შეიცვლება, ვინაიდან შეცვლის წინაპირობები არ ჩანს. უკანასკნელი 28 წლის განმავლობაში მდგომარეობა იყო ცუდი ან ძალიან ცუდი – მიუხედავად ხელისუფალთა მუდმივი დაპირებებისა. იყო დახმარება დასავლური საფინანსო ორგანიზაციების, რომლებიც გვიწონებდნენ ეკონომიკურ რეფორმებს, კორუფციასთან ბრძოლას, მაგრამ ყველაზე დიდი ბარომეტრი – მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება ისევ ძველებურად გაუსაძლისად რჩებოდა.

იმედგაცრუებულ ხალხს 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა და ხელისუფლების ცვლამ შვება მოუტანა, თან დაპირებების კორიანტელი. იქიდან მოყოლებული, დღემდე მმართველი პარტია, რომელიც მოსახლეობის უდიდესი მხარდაჭერით გახდა ქვეყნის საჭეთმყრობელი, ვერა და ვერ ახერხებს ამომრჩეველთა ნდობის გამართლებას. პირიქით, ყოველდღიურად კარგავს ქულებს უნიათო მმართველობის, არაპროფესიონალიზმის, არასწორი საკადრო პოლიტიკისა და სხვა ნეგატიური თვისებების გამო.

რომ არა „ნაციონალური მოძრაობა“ და საზოგადოებაში სერიოზული შიში ამ პარტიის ხელისუფლების სათავეში მოსვლისა, ხალხი მმართველ პარტიას მხარს არ დაუჭერდა და ისე დაივიწყებდა, როგორც შევარდნაძისეულ „მოქალაქეთა კავშირს“.

იხ. 3 გვ.

არ არის სკოლა, არ არის სოფელი!

ახალ სასწავლო წელს საქართველოს 109 სკოლას პირველკლასელი არ ეყოლება.

სკოლა – პირველკლასელის გარეშე?

მამუკა ბახტაძე: ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი აუცილებლად გვექნება!

ანაკლიის პროექტს ჩვენთვის აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა, სწორედ ჩვენი პოლიტიკური გუნდი იყო ამ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის ინიციატორი და, რა თქმა უნდა, ღრმაწყლოვანი პორტის გარეშე საქართველო ვერ შეძლებს თავისი ტრანზიტული პოტენციალის სრულფასოვან რეალიზაციას.

„მე არაერთხელ განმიცხადებია, რომ თავადაც აქტიურად ვიყავი ჩართული ამ პროექტში წლების განმავლობაში. ღრმაწყლოვანი პორტის გარეშე საქართველო ვერ შეძლებს თავისი ტრანზიტული პოტენციალის რეალიზაციას, აქედან გამომდინარე, ჩვენთვის მას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა და ანაკლიის პროექტის რეალიზაცია აუცილებად უნდა მოხდეს და მოხდება. ამასთან ერთად, კიდევ ერთხელ მინდა, განვაცხადო და ყველას მოვუწოდო, მეგობრებო, ნუ ცდილობთ, ეს თემები დაუკავშიროთ ერთმანეთს. სწორედ იმ ადამიანების ინტერესშია, ვისაც არ სურს, რომ ანაკლიის პროექტი განხორციელდეს, რომ ამ ყველა თემის დაკავშირება მოხდეს ანაკლიის პროექტთან. ჩვენ გვაქვს სრული მხარდაჭერა გამოცხადებული ამ პროექტზე. ძალიან ბევრი ნაბიჯი გადავდგით, იქნებოდა ეს ფინანსური ვალდებულების აღება, იქნებოდა ეს ინვესტიციების განხორციელება იმ ინფრასტრუქტურაში, რომელიც აუცილებელია, რომ პროექტი წარმატებით განხორციელდეს, იქნება ეს მოლაპარაკებები სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან თუ ასე შემდეგ. ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რათა საქართველოს ჰქონდეს ღრმაწყლოვანი პორტი“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

სასამართლო პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე და ასეც იქნება!

„თიბისი ბანკი“ არის ძლიერი ფინანსური ინსტიტუტი, ის არის სისტემური ბანკი ჩვენი ეკონომიკისთვის, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

„ჩემი მოწოდებაა ყველა მხარის მიმართ, მათ შორის, იქნება ეს მამუკა ხაზარაძე თუ სხვა ადამიანები ან პოლიტიკოსები, რომლებიც ცდილობენ, პოლიტიკური ქულები დაიწერონ ამ პროცესისგან, რომ ამ განცხადებებით არ დავაზიანოთ ჩვენი ეკონომიკისთვის ასეთი მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტიტუტი. „თიბისი ბანკი“ არის სისტემური ბანკი, ის არის ძლიერი ბანკი, ის არის წარმოდგენილი ლონდონის საფონდო ბირჟაზე. აქედან გამომდინარე, ჩვენს განცხადებებში ძალიან პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ თითოეულ სიტყვას და შეფასებას“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მთავრობის მეთაურმა მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის საქმეზე აშშ-ის საელჩოს განცხადებაც შეაფასა და აღნიშნა: „რაც შეეხება ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის აშშ-ის საელჩოს განცხადებას, სულისკვეთება ამ განცხადებაში არის ისეთი, როგორიც ნებისმიერ ჩვენგანს აქვს. უნდა იყოს უზრუნველყოფილი გამჭირვალე პროცესი სასამართლოსი. საქართველოში არის ევროპული დონის მართლმსაჯულების სისტემა და ეს არის მთავარი. დარწმუნებული ვარ, არანაირი კითხვის ნიშნები ამ პროცესის ირგვლივ, ისევე როგორც არ ერთი სხვა სასამართლოს პროცესის ირგვლივ, არ იქნება“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მაინც სწრაფი ტემპით ვივლით!

„ჩვენ გვქონდა ძალიან მაღალი ტემპი ტურიზმის თვალსაზრისით და შემდეგ ამ ავანტიურისტებმა, „ნაციონალურმა მოძრაობას“ ვგულისხმობ და მის ბელადს, გააკეთეს ყველაფერი, რათა ეს დადებითი დინამიკა, რომელიც გვქონდა ეკონომიკაში, გაჩერებულიყო და გამხდარიყო ნეგატივის წყარო. რა თქმა უნდა, 20 ივნისს ვგულისხმობ, 20 ივნისზე შეფასება არაერთხელ გაკეთდა და კიდევ ერთხელ გავაკეთებ — ეს იყო სამართლიანი და გულწრფელი პროტესტი. პირადად მე და ჩემი გუნდის ყველა წევრი ვუერთდებოდით იმ სამართლიან პროტესტს, რომელიც ჰქონდა ჩვენს საზოგადოებას და ახალგაზრდებს, მაგრამ ეს ავანტიურისტები შეეცადნენ, ეს გულწრფელი პროტესტი გამოეყენებინათ თავიანთი ბინძური პოლიტიკური მიზნებისთვის და მიიტანეს შეტევა საქართველოს კონსტიტუციაზე. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე, საბაზრო ეკონომიკის მდგრადობაზე, მარტივი კითხვა ხომ უნდა დავსვათ, რას ეფუძნება ეკონომიკის მდგრადი განვითარება? ეს ეფუძნება სტაბილურობას და პროგნოზირებად გარემოს, პროგნოზირებადი თამაშის წესებს. ის ნეგატიური ტალღა, რომელიც ამ ავანტიურისტებმა შექმნეს, ეკონომიკას ეხმარება თუ პირიქით — აფერხებს? ეს შეგიძლიათ ჰკითხოთ იმ ექსპერტებს, რომლებიც ამ კითხვას სვამენ, მით უმეტეს, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ტურისტულ სექტორზე, რომელიც ყველაზე მზარდი დარგია საქართველოში. დღეს, მათ შორის ჩემი ამ რეგიონში ვიზიტი ემსახურება იმ მიზანს, რომ ჩვენ დავრწმუნდეთ — არცერთი ობიექტი, რომლის მშენებლობაც იგეგმებოდა, იქნება ეს საოჯახო სასტუმრო თუ სხვა მსხვილი პროექტი, რომელიც უნდა ემსახურებოდეს მთავარ მიზანს, რომ რეგიონში ჩვენი მოქალაქეებისთვის შექმნას ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები, არცერთი არ გაჩერდება, პირიქით — სწრაფი ტემპით გავაკეთებთ ამ ყველაფერს და ტურიზმის სექტორი როგორც იყო მთავარი ლოკომოტივი ეკონომიკის განვითარების, ასეთივე დარჩება“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

ავანტიურისტებმა გააკეთეს ყველაფერი, რათა განვითარების დადებითი დინამიკა შეჩერებულიყო

ავანტიურისტებმა, ვგულისხმობ „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის ბელადს, ასევე რაც ვნახეთ ბოლო თვეების განმავლობაში, გააკეთეს ყველაფერი იმისთვის, რომ ეს დადებითი დინამიკა, რაც ჩვენ გვქონდა ეკონომიკაში, ეს გაჩერებულიყო და გამხდარიყო დიდი ნეგატივის წყარო, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ეროვნულ ვალუტასთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ეკონომიკის მდგრადი განვითარება ეფუძნება სტაბილურობას და პროგნოზირებად გარემოს, ასევე პროგნოზირებადი თამაშის წესებს.

„ტურიზმის სექტორი საქართველოში არის ყველაზე სწრაფად ზრდადი, ამასთანავე, ეს არის სექტორი, სადაც ინკლუზიურობა, ანუ მოქალაქეების რაოდენობა, რომელიც ჩართულია ამ სექტორში, არის ყველაზე მაღალი. ჩვენ გვქონდა ძალიან მაღალი ტემპი ტურიზმის ზრდის თვალსაზრისით. 20 ივნისზე შეფასება არაერთხელ გაკეთდა და კიდევ ერთხელ გავაკეთებ. რა თქმა უნდა, ეს იყო სამართლიანი და გულწრფელი პროტესტი. პირადად მე და ჩემი გუნდის ყველა წევრი ვუერთდებით იმ სამართლიან პროტესტს, რომელიც ჰქონდა ჩვენს საზოგადოებას და ახალგაზრდებს, რომლებიც 20 ივნისს გამოვიდნენ რუსთაველის გამზირზე. მაგრამ, ეს ავანტიურისტები შეეცადნენ, ეს გულწრფელი პროტესტი გამოეყენებინათ თავიანთი ბინძური პოლიტიკური მიზნებისთვის და მიიტანეს შეტევა საქართველოს კონსტიტუციაზე. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ეკონომიკის განვითარებაზე, საბაზრო ეკონომიკის მდგრადობაზე, მარტივი კითხვა ხომ უნდა დავსვათ — რას ეფუძნება ეკონომიკის მდგრადი განვითარება? — ეს ეფუძნება სტაბილურობას და პროგნოზირებად გარემოს, ასევე პროგნოზირებადი თამაშის წესებს“.

◎ კანონი მკაცრად უნდა ვაკანონოთ!

ვინ ჯიჯგნის საქართველოს?!

(პირველი გვერდიდან) ამ არაკაცობისა და შუბლისძარღვგაწყვეტილობის კიდევ ერთი აშკარა დასტურია ოქრუაშვილის (აფსუს გვარო!) სათავისო თავგამოდება (ნაყალბევი საბუთებით!) „ცრუსთავი-2“-ის ხელში ჩასაგდებად, რათა ისევ ნაციონალთ შეუნარჩუნოს ეს წუნწუხმდინარი არხი, ისევ ავად ენაგატლეკილ გვარამიას იქ დარჩენით, რომელსაც, უსინდისობის ჯორზე შემჯდარს, არც ქართული მართლმსაჯულების და არც თვით ევროპული სასამართლოს (სადაც თვითონვე იჩივლა!) დამორჩილება არ სურს, რაც თავფეხიანად წარმოაჩენს, თუ რა დონის იურისტიც ბრძანდება.

ყველანი ერთპირად, ანუ სააკაშვილის მონად ქცეული გუნდი, აგრეთვე თვითონ ნაციონალები, რასაკვირველია, ეგრეთ წოდებული ვითომ „ევროპული საქართველო“, ყველანი, ყველანი — სამადაშვილები, ბოკერიები, უგულავები, კახაძეები, ნადირაშვილები, მელიქიშვილები, ჭიაბერაშვილები, ბაქრაძეები, ბეჟაშვილები, კაპანაძეები და, რაც მთავარია, სხვათა ფულით გაფუფუნებული — გიგაურები, სალაძეები, ვერძეულები, მშვენიერაძეები, ბენიძეები, დანელიები და ყველას ჩამოთვლა, ალბათ, არც არის საჭირო, რადგან ერთი სპერმით შექმნილებივით იმეორებენ ერთსა და იმავეს (გლახა ჭრიაშვილი მახსენდება!).

ეს ხალხი, როგორც შეხმამწარებული გუნდი თავს ძალით იუმეცრებს თუ მართლა უმეცარი და უვიცია, საზოგადოების გულუბრყვილო ნაწილის ჭკუიდან გადასაყვანად გაჰკივის, თუ „ცრუსთავი-2“ კანონიერი მფლობელის ხელში გადავა, სიტყვის გამოხატვის თავისუფლებას დაემშვიდობეთ, ოპოზიციურ კრიტიკულ სიტყვას ვეღარ გაიგონებთო. უნდა აქვე ვკითხო ამ ანტისახელმწიფოებრივად დასნებოვნებულ, საკუთარი პარტიული გამორჩენის ჟინით მოწამლულ ადამიანებს, როდიდან გახდა კრიტიკა სიცრუე, ცილისწამება, ქილიკი, მასხრად აგდება, ჯერ არმომხდარი უკეთურების უკვე მოხდენა, ღრძო დაცინვა და ხელისუფლების მიზანმიმართული ლაფში ამოსვრა?! განა ასეთი უხამსი კრიტიკა და სიტყვის თავისუფლება შეიძლება რომ გვერდიგვერდ არსებობდეს?

მართალი, მიუკერძოებელი ოპოზიციური კრიტიკაც და სიტყვის თავისუფლებაც ჩვენ იმისთვის გვინდა, რომ ქვეყანას სასიკეთოდ წაადგეს წინსვლისა და განვითარების გზაზე და არა იმისთვის, ქვეყნის დამაზიანებელი, სამამაძაღლოდ გამიზნული უხამსი ოპოზიციური სიტყვა ყოველწუთიერად შხამიანი ძვალივით გაჩხირული ჰქონდეს ხელისუფლებას, რომელიც უტყუარი დემოკრატიის შენების საბაბით საკადრისად არ ექცევა დღეს უკვე მეტისმეტად თავგასულ ოპოზიციას, რაც მას კიდევ უფრო სარევოლუციოდ განაწყობს და აღარც მალავს თავის ბოროტ ზრახვებს. ერთი თვალის გადავლებით დიახაც ასეთი საჩოთირო ვითარებაა ჩვენს შაგრენის ტყავივით მილევად ტურფა საქართველოში, რომელსაც წერტილდაუსმელად ჯიჯგნიან ბნელი ძალები და საკეთილდღეოდ სულის მოთქმას არ აცლიან.

„ოცნებას“ მეტი და მეტი პრინციპულობა მართებს ამ ჯიჯგნის დასამთავრებლად. არადა, ამჟამინდელი, ცოტა არ იყოს, ორჭოფული და მფრთხალი საქციელი თვითონ „ოცნებისთვის“ ფარსაგად არ გაშედეგიანდება.

გურამ წიკლაური

P.S. **ეს წერილი გუშინწინ დაიწერა, როცა ხელისუფლებაში ისევ დასაბრუნებლად ჭკუიდან გადასულ ნაციონალებთან ერთად 20 ივნისს პარლამენტის წინ თითიდან გამოწოვილი საბაბით ეგრეთ წოდებული გაერთიანებული ოპოზიციის მიერ მოწყობილ ამბოხში ერთ-ერთ „ამირსპასალარად“ მონაწილე გავეშებული ოქრუაშვილი ჯერ კიდევ არ იყო „ვირის აბანოში“ კანონის პირისპირ. ამ მეამბოხე შუმი ნაციონალის დაკავება მოწმობს, რომ ხელისუფლება ცოტა გამოფხიზლდა და ხელიც სამართლიანად გამოიღო. იმედია, ეს პროცესი კანონის მთელი სიმკაცრით გაგრძელდება და ყველა დამნაშავე თანაბრად აგებს პასუხს. ოღონდ ისე კი არა, რბილად, როგორც გააფთრებულ ნაციონალ მელიას შეაბეს საკონტროლო სამაჯური...**

გ. წ.

ნაცური ოპოზიციის მიზანმიმართული არეულობა საქართველოში

(პირველი გვერდიდან)

„ქართული ოცნების“ მიმართ ხალხის იმედგაცრუების საბაბი მრავალია, თუმცა მათ შორის გამოირჩევა ე.წ. კოჰაბიტაცია – ხელისუფლება-ოპოზიციას შორის მოჩვენებითი „ცივილიზებული“ ურთიერთობების ჩამოყალიბება. 2012 წელს საქართველოს ქალაქების ქუჩებში გამოსული ხალხის გულისწყრომის მთავარი ობიექტი იმჟამინდელი ნაცური ხელისუფლების არაადამიანური მმართველობა და მისი დამხობა იყო. ის ვერასდროს იფიქრებდა, რომ „ქართული ოცნება“, ისეთივე იმედით გამსჭვალული, როგორც ხალხი, კარდინალურად არ შეცვლიდა პოლიტიკას ნაცებთან მიმართებაში და ხალხის მტერ პარტიას საარსებო არტერიებს არ გადაუჭრიდა, კანონგარეშედ არ გამოაცხადებდა, ჩადენილი უამრავი დანაშაულისთვის – „ვირის აბანოში“ არ გაუშვებდა.

ნაცური ოპოზიცია – დარწმუნებული ხელისუფლების უპრინციპობაში, უუნარობასა და დაუსჯელობაში, კვლავ გააქტიურდა და „რევოლუციური“ გზით ხელისუფლებაში მოსვლაც დააპირა – 20-21 ივნისის მოვლენები, განსაკუთრებით პარლამენტის წინ გამართული „ომი“, სხვა არაფერი იყო, თუ არა პარლამენტის შენობის ძალისმიერი გზით დაპყრობის მცდელობა.

მოიერიშეები წინასწარ დაგეგმილი სცენარით მოქმედებდნენ, ნაცური სცენარით. საბაბიც გამოძებნეს – რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ გალაშქრება, ანუ რუსეთის დუმის წევრის გავრილოვის პარლამენტის სპიკერის სავარძელში ჩაჯდომა.

თითიდან გამოწოვილმა საბაბმა ქვეყნის პოლიტიკური რყევა გამოიწვია, რასაც მოჰყვა პარლამენტის სპიკერის გადადგომა, პარლამენტის უმრავლესობის წევრის პარლამენტიდან გასვლა, ხელისუფალთა დათანხმება მომავალი საპარლამენტო არჩევნების (2020 წ.) მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარებაზე.

ხელისუფლებამ არ დააკმაყოფილა მომიტინგეთა მოთხოვნა – შს მინისტრ გახარიას გადადგომა (ნაციონალების მოთხოვნა არც უნდა დააკმაყოფილოს), მინისტრისა, რომელიც ხელმძღვანელობდა პოლიციის მიერ, აღგზნებული და აგრესიული მომიტინგეების შეტევის მოგერიებას, რითაც მან ქვეყანა იხსნა მორიგი „ქუჩური“ გადატრიალებისგან.

რას ნიშნავს ყოველივე აღნიშნული და რა მოიტანა მან ან მოაქვს ქვეყნისთვის?

კითხვა მარტივი და იოლი პასუხგასაცემია, თუ სიღრმისეულად ჩავხედავთ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას. საქართველომ პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა გამსახურდიას ხელისუფლების დროს დაიწყო. მან დამოუკიდებლობის აქტიც მიიღო და რეფერენდუმიც ჩაატარა – დამოუკიდებლად არსებობასთან დაკავშირებით.

მაგრამ ნამდვილი დამოუკიდებლობა მაშინ იყო, როდესაც საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა გორბაჩოვმა აუწყა ქვეყანას საბჭოთა კავშირის დაშლა.

მოსკოვში გაუღერებულმა თავისუფლების ჰანგებმა დიდი ვერაფერი აღმაფრენა გამოიწვია თბილისის ძმათამკვლელ ომში ჩართულ მოსახლეობაში, რაც არ არის გასაკვირი. დახოცილ, დასახიჩრებულ ადამიანთა და დანგრეული ქალაქის ცენტრის შემყურე ვერ აღიქვამდა მოსკოვის მიერ ნაბოძებ თავისუფლებას, ცხადია.

შემდეგ იყო ომები ავტონომიების შესანარჩუნებლად, კატასტროფული მარცხი, უშუქობა, უგაზობა, უპურობა, სიცივე, ძმათა შორის ჩამოგდებული შუღლი, გაუტანლობა, სახელდახელოდ პარტიების შექმნა და გაუქმება, საპარლამენტო, საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებით ჩატარება, მრავალი ნეგატიური მოვლენა, რაც დამახასიათებელია დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ქვეყნისთვის.

თითქმის ყველა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ მეტ-ნაკლებად იწვნია საკუთარ თავზე დამოუკიდებლობით გამოწვეული პრობლემები, მაგრამ საქართველომ განსაკუთრებით. დღევანდელი გადასახედიდან ნათლად ჩანს დაშვებული დანაშაულებრივი შეცდომები, რომელთა წყალობით ქვეყნის ტერიტორიის 20%-იც დავკარგეთ და შრომისუნარიანი მოსახლეობაც – ლუკმაპურის საძებნად უცხოეთში გადაიხვეწა.

ქვეყანამ ვერა და ვერ მოახერხა საკუთარი მოსახლეობის მინიმალური გამოკვება. სამუშაო ადგილების შექმნა, ფაბრიკა-ქარხნების, საწარმოების ამუშავება, საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება და სხვა მრავალი ის, რაც ესოდენ საჭიროა ნებისმიერი ქვეყნისთვის.

საქართველო, როგორც 30 წლის წინათ, მიტინგებითაა შეპყრობილი. ისევ ძველ წრეზე ტრიალებს – პარლამენტის შენობის წინ მიტინგი, „მგზნებარე“ უგუნური გამოსვლები, აგრესიული რიტორიკა, კარვების დაცემა და სხვა უკვე გულის ამრევი ქმედებები. ვერც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში (გარდა უკრაინისა) ვერ შეხვდებით ასეთ ბაკქანალიას, რასაც ჩვენთან.

ყველა რესპუბლიკაში შეინიშნება წინსვლა უკეთესობისკენ, გარდა საქართველოსი. ყველა მათგანს დასავლეთი განუვითარებლად, არადემოკრატიულად მიიჩნევს, ჩვენ კი, პირიქით, დემოკრატიის აკვნად გვთვლის.

საქართველო სამაგალითო ქვეყანაა აშშ-ის და მისი მოკავშირეებისთვის, რომლებმაც ყველაფერი იღონეს საქართველოს დასავლეთისკენ გადასაბირებლად, ძველთან კავშირის გასაწყვეტად. მიზანი მათი იყო მარტივი – ძველი ურთიერთობების ძირფესვიანად ამოძირკვა, ჩვენი გულისყურის დასავლეთისკენ მიპყრობა. ძველის ლანძღვა-გინება, დასავლეთის ქება-დიდება.

განადგურდა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, განათლების სისტემა, კულტურის სფერო. ფაქტობრივად, ყველაფერი რითაც ხარობდა ერი – დასაქმებული, დაპურებული, მშვიდი ცხოვრებით დალხინებული. დასავლეთმა გვირჩია მწარმოებლობა დაგვეწყებინა და მომხმარებლობა გაგვეფეტიშებინა. და ჩვენც უმალ ავყევით ქვეყნის ნგრევის პროცესში. ჯართად გავყიდეთ გრანდიოზული, პროგრესული წარმოებები, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა იყო დასაქმებული.

საქართველო იქცა უზრდელი, უსაქმური, თავხედი, ნარკომანი ახალგაზრდების სათარეშო ქვეყნად, ამერიკული ფულითა და იდეოლოგიით გაჟღენთილი პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ცრუ ჟურნალისტიკის არენად.

ქვეყანა გადაიქცა დასავლური მდარე ხარისხის კვების პროდუქტების მომხმარებლად, სალაყბოდ, ვლაპარაკობთ ხმის ჩახლეჩამდე პარლამენტში, ვბღავით მიტინგებზე, ერთმანეთს ვეჩხუბებით და ვლანძღავთ თოქ-შოუებში, პირად საუბრებშიც. ვიგინებით ქუჩაში, ტელეგადაცემებშიც, საზოგადოების თავშეყრის ადგილებშიც. დედის გინებით ვაყრუებთ არემარეს. მამაკაცის სასქესო ორგანოს ხსენება ხომ ჩვეულებადაა ქცეული.

ჩვენ „თავისუფლები“, „დემოკრატები“ ვართ, ვინაიდან შეგვიძლია მეზობელი რუსეთის და მისი პრეზიდენტის უწმაწური სიტყვებით გინება, რუსი ტურისტების შეურაცხყოფა, გაქურდვა. ამერიკელთა წყალობით ერთ დროს ზრდილი, კეთილგონიერი ერი, გაუნათლებელ, აგრესიულ ბრბოდ იქცა.

მკითხველი ისე ნუ გამიგებს ჩემი ნათქვამი ყველას ეხებოდეს. საქართველოში მრავლად არიან დარბაისელი, განათლებული, ზრდილობით შემკული, კულტურული ადამიანები, მაგრამ მათი ხმა არსად ისმის – თავხედებმა ჩაუხშეს სალაპარაკო. არადა, რაოდენ აუცილებელია ჭკვიან მამათა ომახიანი შეძახილი – შეჩერდით! რას სჩადით! თვალი გაახილეთ, ერთმანეთისგან გაარჩიეთ მტერი და მოყვარე! ადამიანებო, პატივი ეცით და მოეფერეთ ერთმანეთს, გიყვარდეთ ერთმანეთი!

ქართული მედია, ფულისა და განუკითხაობის პროცესში მონავარდე, აშშ-ის მოჯამაგირე, გონიერს, ჭკვიანს, სტუდიაში სალაპარაკოდ არ მიიწვევს, საგაზეთო ინტერვიუს არ ჩამოართმევს მარტივი მიზეზის გამო – მის ფონზე არარაობად, უმეცრად გამოჩნდება.

ზემომოყვანილმა მაგალითებმა ქვეყანა უმძიმეს დღეში ჩააყენა, მაგრამ ვინ არის გამკითხავი? მშიშარა უმოქმედო ხელისუფლება და გაუთვითცნობიერებელი ხალხი?

აშშ-მა ასეთ სახელმწიფოდ გვაქცია – არაფრის მკეთებლად, გარდა ერთისა – რუსეთის მაგინებლად. რაოდენ დასანანია, რომ უდიდესი ისტორიისა და კულტურის ხალხი უისტორიო, მაგრამ ფულიანი ამერიკის მონად არის ქცეული და მის დავალებას – რუსეთის ლანძღვასთან დაკავშირებით, უყოყმანოდ ასრულებს.

სულაც არ არის გასაკვირი ქვეყანაში სოციალური ყოფის გაუარესება, ქვეყნის შემდგომ არსებობაზე კითხვის ნიშნების გაჩენა.

20-21 ივნისის მოვლენებმა, ანტირუსულმა აფეთქებამ, ეკონომიკის სერიოზული ჩავარდნა გამოიწვია – გაუფასურდა ლარი; შეწყდა რუსეთსა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლა; შეწყდა რუსი ტურისტების ნაკადი; დაცარიელდა ქვეყნის ზღვისა და მთის კურორტები. ტურისტების შემცირებამ ნეგატიური ხელი დაატყო კაფეებსა და ბარებს, რესტორნებს, სასტუმროებს, მომსახურების სფეროს და სხვა მრავალს. მოსახლეობის ისედაც მძიმე სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა.

ვინ არის დამნაშავე ყოველივე ამაში?

პასუხი მარტივია – ავანტიურისტი ოპოზიცია „ნაციონალური მოძრაობის“ სახით და მას მიტმასნილი პარტიები, საზოგადოება – დაავადებული ანტირუსული ბაცილით.

ჩვენდა საბედნიეროდ, რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა უარყო რუსეთის დუმის გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური ემბარგოს შემოსაღებად, თუმცა ამ ნაბიჯმა კიდევ უფრო გააღიზიანა საზოგადოების ნაწილი და ე.წ. პოლიტიკოსები. „პუტინს კეთილი ბიძიას სახის შექმნა სურსო“, – აცხადებენ ისინი და წამითაც არ ფიქრობენ, რა შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა ემბარგოს შემოღებას.

საქართველოს ხელისუფალთა წვლილი არეულობაში, რასაც ადგილი ჰქონდა და აქვს ქვეყანაში, მნიშვნელოვანია. გაუგებარია მისი უმოქმედობა კრიმინალ ნაცმოძრაობასთან მიმართებაში, დამნაშევეთა დაუსჯელობის საკითხში, გაჭიანურებულ გამოძიებაში, საქმისადმი ზერელე მიდგომაში, რაც საზოგადოებას არწმუნებს ხელისუფალთა უნიათობასა და ინდიფერენტულობაში.

სხვას ვერაფერს ვიტყვით, როდესაც პარლამენტის წინ პერმანენტული მიტინგებია. ხელისუფლება ვერ აცნობიერებს, რომ მიტინგი საზოგადოებაში არსებული დაძაბულობისა და პროტესტის უკიდურესი ფორმაა, რაც მეხამრიდივით ისხლეტს ტურისტებს, ინვესტიციებს და ქვეყნის სიმშვიდეს. პოლიტიკურად არასტაბილურ საქართველოში არც ტურისტი ჩამოვა და არც ინვესტიცია ჩაიდება.

რაც შეეხება ჩვენ მიერ უკვე მერამდენედ გალანძღულ და შეურაცხყოფილ რუსეთს – ის მზად არის საჰაერო კომუნიკაციების აღსადგენად, ოღონდ მას შემდეგ, რაც ვითარება ჩაცხრება და რუსოფობური განცხადებების ნაკადი შეწყდება.

„ეს „მოღვაწეები“ (იგულისხმება რადიკალები) არცკი ფიქრობენ, რამხელა ზარალს აყენებენ საკუთარ ქვეყანას და ხალხს. რუსეთი საქართველოს ხელისუფლებისგან ელოდება ანტირუსული აგრესიის შედეგად გამოწვეული საფრთხისა და ზარალის სწრაფ გაანალიზებას და შესაბამისი ზომების მიღებას“, – აცხადებს რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ლავროვი.

რასა იქმს ხელისუფლება? – არც არაფერს. ნაცვლად მოქმედებისა თვითონ გამოდის რუსეთის კრიტიკით.

საქართველოში მიმდინარე მოვლენებით შეშფოთებული არიან მეზობელი აზერბაიჯანი და სომხეთი, ვინაიდან კარგად იციან, რომ საქართველოში დაწყებული „რევოლუცია“ სერიოზულ გავლენას იქონიებს მათზეც. ორივეს იმედი აქვს, რომ საქართველოს ხელისუფლება შეძლებს ვითარების დარეგულირებას, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ ამის ნიშნები არ ჩანს. მათ ვერ გაუგიათ, **რას ნიშნავს საქართველოს ხელისუფალთა ჭარბი ლიბერალიზმი – შიშს თუ ინდიფერენტიზმს?**

აზერბაიჯანის გულისწყრომა გამოიწვია ქართველ რადიკალთა მიერ მოწყობილმა პროვოკაციამ დავით გარეჯში – თავდასხმა აზერბაიჯანელ მესაზღვრეებზე. მკაცრად იქნა შეფასებული აზერბაიჯანის ხელისუფალთა მიერ. აზერბაიჯანის საგარეო უწყებამ განმარტებისთვის დაიბარა საქართველოს ელჩი პატარაძე.

ჩვენმა „შეუპოვარმა პატრიოტულმა“ ბრძოლამ, საქართველოს რომ თავი დავანებოთ, მთელს კავკასიაში გამოიწვია ნეგატიური შედეგი. ჩვენი მეზობლები საქართველოს ხელისუფლებისგან გადამჭრელი ზომების გატარებას მოითხოვენ.

ამ დროს რას აკეთებს ხელისუფლება?

ქმედითს არაფერს, გარდა სახელმწიფო მოხელეებისთვის 158 ახალი „ჯიპის“ (ოღონდ თეთრი ფერის) შეძენისა.

ვაი, ჩვენს თავს!

ომარ მარგველაშვილი

ვაჟა ბერიძე: ბიძინა ივანიშვილისთვის მიუღებელია, რომ ანაკლიის პორტის განმახორციელებელი მამუკა ხაზარაძე იყოს!

„მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის დაჭერა სერიოზული შეცდომა იქნება“, – წერს სოციალურ ქსელში პოლიტოლოგი ვაჟა ბერიძე. პოსტს „კომერსანტი“ უცვლელად გთავაზობთ.

ჩვენ შეშფოთებულები ვართ იმის გამო, რომ აშშ-ის საელჩო შეშფოთებულია. კონტექსტის და დროის გამოო, ბრძანეს.

სასურველი იქნებოდა, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენლობას დაეზუსტებინა კონტექსტი და ჩვენთვის მისი რაობა თავსატეხად არ დაეტოვებინა. სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ ბრძანა – ანაკლია უნდა აშენდეს, მაგრამ რუსეთის და ჩინეთის აქტიურობას რეგიონში არ მივესალმებითო (იმედია, ბატონი პომპეო მომიტევებს მისი სიტყვების ოდნავი პერიფრაზირების გამო).

ანაკლია უნდა აშენდეს – არავინ დავობს. ამაში რუსული კაპიტალი ვერ მიიღებს მონაწილეობას, ცხადია. აღმოჩნდა, რომ ვერც ჩინელები. დასავლეთელ ინვესტორებს კი გარანტიები უნდათ, რომ სხვა ღრმაწყლოვანი პორტი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე არ აშენდება და უნდა მოხდეს კომერციული რისკების დაზღვევა ტვირთნაკადების არასაკმარისი ოდენობის გამო, ანუ საქართველოს ბიუჯეტიდან.

სავარაუდოა, რომ ბიძინა ივანიშვილი ხვდება, რას ეუბნებიან ამერიკელები – შენ უნდა იყოო ამ პორტის აშენების გარანტი და შენვე უნდა გადააზღვიოო რისკები. ბიძინა ამაზე უარს არ ამბობს, არც იტყვის და ვერც იტყვის. რუსული ფაქტორის გათვალისწინებითაც კი ანაკლია დიდი პროექტია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უფრო უსაფრთხოების თვალთახედვით, ვიდრე ფინანსური მომგებიანობის თვალსაზრისით. მისი ამშენებელი (მოდით, მე ზოგადად ასე ვიტყვი) უდავოდ ისტორიული პიროვნება იქნება, ნიკო ნიკოლაძის დარად, ქვეყნის ისტორიაში. ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული მამუკა ხაზარაძესაც და ბიძინა ივანიშვილსაც. ბიძინა ივანიშვილისთვის მიუღებელია ამ პროექტის განმახორციელებელი მამუკა ხაზარაძე იყოს. ამის გამოა ეს მორიგი აურზაური სალხინეთში.

დასანანია. განა პირველი შემთხვევაა, როცა დიდ საქმეს ზიანი მისდგომია ქართველებს შორის გაუგებრობისა და შუღლის გამო.

თორემ რა შუაშია კონკრეტული ქეისი. განა ჩვენ არ ვიცით, რას წარმოადგენს ოფშორები და როგორ ირეცხება იქ ფული, მათ შორის, ქართული რეალობის თვალსაჩინო აქტორების მიერ და იქნებ საქართველოში მოქმედი ოფშორული ინვესტიციების ნუსხაშიც ჩაეხედა ვინმეს. განა არ ვიცით, პოსტსაბჭოური ბიზნესი როგორ გადიოდა „შავი“ და „თეთრი“ ფულის ზღვარზე?

ამ და მრავალი კონტექსტუალური მოცემულობის გამო ვართ ჩვენც შეშფოთებულები ამერიკელების შეშფოთების გამო.

რაც შეეხება ხაზარაძე-ჯაფარიძისთვის ბრალის წაყენებას, სამართალი უნდა აღსრულდეს და კანონიერებამ უნდა იზეიმოს. ეს უდავოა. მაგრამ კონტექსტი, ჩვენებურად გაგებური კიდევ უფრო შემაშფოთებელია.

ხალხს არ უყვარს ბანკირები გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ „ველური კაპიტალიზმის“ სტადია პოსტსაბჭოთა სივრცეშიც აბსოლუტურად ლოგიკური იყო, სამწუხაროდ. ცალკეულმა დიქტატორობისკენ მიდრეკილმა ავტორიტარმა მმართველებმა თითქოსდა შეიტანეს გარკვეული წესრიგი პოსტსოციალისტურ სინამდვილეში, თუმცა თავად გახდნენ თავიანთი ქვეყნების მთავარი ოლიგარქები, ზოგი ღიად, ზოგი ფარულად,

ზოგიც ცრუმაგიერი პირების მეშვეობით. ჩვენ გვაქვს ის რეალობა, რომელიც გვაქვს. ჩვენ უნდა მივესალმებოდეთ შეძლებული ადამიანების აქტიურ ჩართულობას მასშტაბური პროექტების განხორციელებაში, თავად ისინი კი არ უნდა მიელტვოდნენ ძალაუფლებას, როგორც თავიანთი ქონების და კაპიტალების დაცვის ერთადერთ ეფექტურ საშუალებას, ერთმანეთთანაც ცივილიზებულად უნდა არკვევდნენ ურთიერთობას არც თუ მთლად დამოუკიდებელი და თავისუფალი მართლმსაჯულების მეშვეობით, ხოლო ხალხი უნდა იყოს მათზე და მართლმსაჯულებაზე აღმატებული განმსჯელი. ასეთი რამ ჯერ ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოში არ ყოფილა.

კონკრეტული ქეისი უნდა იქნეს სათანადოდ გამოძიებული და ჭეშმარიტება უნდა დადგინდეს. მაგრამ ხაზარაძის და ჯაფარიძის დაჭერა დიდი წინდაუხედაობა იქნება. ამით ხაზარაძეს პოლიტიკურ ველს კი გაარიდებენ, მაგრამ ქვეყანას გაწირავენ საიმისოდ, რომ ქართულ პოლიტიკაში კიდევ რამდენიმე წელი მინიმუმ იყოს ორი ფული – ბიძინა ივანიშვილის და მიხეილ სააკაშვილის მიერ კონტროლირებადი (გულუბრყვილოა, ვინც ამ ფულს, რომელიც „იმ 9 წელიწადში“ იშოვეს მავანთ, იგნორირებას უკეთებს). სამწუხაროდ, პოლიტიკის კეთებას ფული სჭირდება. ამის ალტერნატივა ნაციონალ-პოპულიზმის დომინირებული მდგომარეობაა, რაც კიდევ უფრო დამაზიანებელი იქნება ქვეყნისთვის. ასეთ შემთხვევაში, ასეთ რეალობაში ხაზარაძის ფინანსური რესურსი კიდევ ერთი პოლიტიკური ცენტრის შექმნას შეუწყობდა ხელს, რაც საზოგადოებისთვისაც საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა და თავად ბიძინა ივანიშვილისაც. ნაციონალები და პოსტნაციონალები მას სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევენ (ამისთვის სახელისუფლო რესურსი და ფინანსური რესურსი ჭარბად გამოყენებული სხვას შანსს არ უტოვებს). „პატრიოტთა ალიანსი“, ერთიანი საქართველო, ლეიბორისტები და სხვები სუსტები არიან. ივანიშვილის „მზაკვრული“ ჩანაფიქრი – ოპონენტებად ჰყავდეს მისთვის აპრიორი უპირატესობის შემქმნელი ნაციონალები და პოსტნაციონალები საბოლოო ვარიანტში ჩიხისკენ მიმავალი სტრატეგიაა. იგი შანსს უზრდის დესტრუქციულ-ექსტრემისტულ ძალებს, მოვიდნენ ხელისუფლებაში რევოლუციის გზით. კიდევ ერთი რევოლუცია და გადატრიალება კი სერიოზული საფრთხეა მყიფე, ჯერ კიდევ სუსტი ქართული სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიისთვის. მოვლენათა ასეთი განვითარება მიუღებელი და საზიანოა.

პოლიტიკური პროცესი, რომელიც 2012-2013 წლებიდან დიდხანს იყო დაპაუზებული, რეანიმირების პროცესშია. ამას ივანიშვილმა ხელი კი არ უნდა შეუშალოს, პირიქით, ხელი უნდა შეუწყოს კიდეც. თორემ საქართველოს მოქალაქეებს არ ექნებათ ქვეყნის ინტერესებისთვის შესატყვისი რეალური არჩევანი, ვერასდროს ჩამოყალიბდება „ქართული ოცნების“ რეალური ალტერნატივა, რაც შიდა და გარე საფრთხეების გათვალისწინებით საქართველოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ივანიშვილმა კარგად იცის, რომ ორკაციანი და ორი კაპიკის მქონე პარტიები ვერასდროს მოვლენ ხელისუფლებაში, ისიც კარგად იცის, რომ საქართველო ვერასდროს გახდება ვერც ნაზარბაევის ყაზახეთი და ვერც ლუკაშენკოს ბელარუსი და რუსები, რომლებთან დიალოგსაც დღევანდელი ხელისუფლება ვერ ბედავს, აგვისრულებენ დანაქადებს – რამდენიც შემოხვედით რუსეთის იმპერიაში, იმდენ „ქვეყნად“ დაშლილი გახვალთო.

მაგრამ თუ განეიტრალდა ყველა პოტენციური პოლიტიკური ცენტრი ჩამოყალიბებამდე, სტაბილურობის ნაცვლად, შესაძლოა, მასშტაბური დესტაბილიზაცია მივიღოთ. მათ შორის ამიტომაც არის დაანონსებული ხაზარაძე-ჯაფარიძის დაჭერა – შეცდომა. მამუკა ხაზარაძეს უნდა მიეცეს პოლიტიკაში მოსვლის საშუალება და მტყუან-მართალი უზენაესმა მსაჯულმა – ქართველმა ხალხმა, ამომრჩეველმა განსაჯოს. ეს არ იქნება მამუკა ხაზარაძისთვის იოლი შანსი – მის ბანკირულ იმიჯს რიგითი ქართველი ტაშისკვრით არ შეხვდება, მაგრამ ხაზარაძის, ისე როგორც ნებისმიერი ბიზნესმენის და პოლიტიკაში შემოსვლის მსურველის ბედს უნდა წყვეტდეს ხალხი და არამარტო ქართული მართლმსაჯულება, რომელიც დღეს რეფორმირების სტადიაშია და ბევრი პრობლემა აქვს.

ასეთი გზა იქნება შანსი ქვეყნისთვის, შანსი ივანიშვილისთვის და შანსი ხაზარაძისთვის.

თანაბარი შანსი კი უნდა მიეცეს ყველას.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჩემ მიერ აღქმული კონტექსტიდან გამომდინარე, ხაზარაძისა და ჯაფარიძის დაჭერა სერიოზული შეცდომა იქნება. ამ საქმეს მართლაც ბევრი ასპექტი და უზარმაზარი კონტექსტი აქვს, რომელზე დაფიქრებაც ყველას გვმართებს.

ანრი ოხანაშვილი: ოქრუაშვილის დაკავების დაკავშირება პოლიტიკურ პროცესებთან, აბსურდია!

ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებით, ვიდრე გამოძიება არ დასრულდება და სასამართლო არ გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას, არ გვაქვს უფლება, ვისაუბროთ ვინმეს ბრალეულობაზე, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ანრი ოხანაშვილმა ირაკლი ოქრუაშვილის დაკავებაზე კომენტირებისას განაცხადა.

„პასუხი, რომ ეს რაიმე პოლიტიკურ პროცესთან არის დაკავშირებული, სრული აბსურდია და იმაზე, თუ რატომ არის აბსურდი, პასუხობს კადრები, რაც ყველამ ვნახეთ, თუ როგორ მონაწილეობს ეს ადამიანი და რა ქმედებებს ახორციელებს რუსთაველის გამზირზე პოლიციელებთან მიმართებაში.

ჩემი ვალდებულებაა, დავიცვა უდანაშაულობის პრეზუმფცია. სხვა დამატებით კომენტარს ამ ეტაპზე ვერ გავაკეთებ“.

გუბაზ სანიკიძე: ოქრუაშვილი ბიძინა ივანიშვილის პირადი ტყვეა

ეს არის პოლიტიკური ანგარიშსწორება „რუსთავი-2“-ის საკითხთან დაკავშირებით პირადად ბიძინა ივანიშვილის მხრიდან და დღეს ირაკლი ოქრუაშვილი არის პირადი ტყვე ბიძინა ივანიშვილის, – ასე შეაფასა პოლიტიკური მოძრაობა „გამარჯვებული საქართველოს“ წარმომადგენელმა გუბაზ სანიკიძემ პარტიის ლიდერის ირაკლი ოქრუაშვილის დაკავება.

„ჩვენც ვნახეთ ის კადრები, იქ არაფერი არ ჩანს, არც შეჭრა, არც ძალადობა, არც სახელმწიფოს გადატრიალება და არც კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობა. ეს არის სრული სიცრუე. როგორც ჩანს, ჩვენ სხვა რეალობაში ვცხოვრობთ, ქართველი ხალხი და ბიძინა ივანიშვილის დღევანდელი პოლიტიკური ბანდა სხვა რეალობაში. ფაქტი ერთი გვაქვს, ირაკლი ოქრუაშვილის დაკავების საბაბი, რა თქმა უნდა, არის 20-21 ივნისის მიტინგი, მაგრამ რეალური მიზეზი არის „რუსთავი-2“-ის საქმე. ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავაკავშირებთ ამ საკითხს. ეს არის პოლიტიკური ანგარიშსწორება „რუსთავი-2“-ის საკითხთან დაკავშირებით პირადად ბიძინა ივანიშვილის მხრიდან და დღეს ირაკლი ოქრუაშვილი არის პირადი ტყვე ბიძინა ივანიშვილის“, – განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

განგებ გაჩენილი ხანძრები კახეთში!

წინ გაიხედეთ, ფერმერებო!

ხანძრებმა, რომელთაც ფერმერები განგებ აჩენენ, დედოფლისწყაროში გაშენებული ქარსაფარი ზოლების დიდი ნაწილი გაანადგურა. ფერმერები ცეცხლს მიწის გასუფთავების მიზნით ანთებენ, მაგრამ შემდეგ ვეღარ აკონტროლებენ. გარდა ქარსაფარი ზოლების განადგურებისა, იხოცება გარეული ცხოველი და ფრინველიც, თავად მიწის ნაკვეთები კი მოუსავლიანი ხდება. სპეციალისტები ამბობენ, რომ ქარსაფრების განადგურება გაუდაბნოების პროცესსაც ამწვავებს, რომლის წინაშეც დედოფლისწყარო დგას. როგორ უნდა მოგვარდეს პრობლემა და რას აკეთებს ამისთვის სამინისტრო?

ბოლო რამდენიმე დღეა, შირაქისა და ალაზნის ველები ცეცხლის ალშია გახვეული. ფერმერები თითქმის მასობრივად წვავენ მიწის ნაკვეთებში ხორბლისა და ქერის აღების შედეგად დარჩენილ თივას. ხანძარს განგებ, მიზანმიმართულად აჩენენ და ამას იმისთვის აკეთებენ, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები შემდგომი დამუშავებისთვის გაასუფთაონ. სპეციალისტების თქმით, წესით, მიწის ნაკვეთები ასეთი ნარჩენებისგან მექანიზაციით უნდა იწმინდებოდეს. უნდა მოხდეს მისი დადისკვა ან ტერიტორიიდან გატანა, თუმცა რადგან ეს პროცედურა დამატებითი ხარჯების გაღებას მოითხოვს, გლეხები მარტივ, მაგრამ უკანონო და, ამავდრულად, საშიშ გზას ირჩევენ. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე ამირან კოდიაშვილი იმ საფრთხეებსა და ზიანზე გველაპარაკება, რომელსაც ფერმერები ჯერ საკუთარ თავს, შემდეგ კი მთლიანად სახელმწიფოს აყენებენ:

„ზოგიერთი ფერმერი ფიქრობს, რომ ხანძრის გაჩენით მავნებლებს, მათ შორის ბზუალას და მღრღნელებს გაანადგურებს, მაგრამ იქვე არის სასარგებლო ბაქტერიები და ცხოველები, რომლებიც მათ შორის იღუპებიან. ასევე იკარგება ჰუმსოვანი (ნიადაგის ნაყოფიერი ფენა) ფენა. მიწის შიგნით არსებობს ცოცხალი გარემო და ხანძარი მას სპობს. ეს ყველაფერი, ერთობლიობაში, იწვევს მიწის დეგრადაციას. თუ ნაკვეთში ნარჩენებს არ გადაწვავ და ნამჯა შიგნით ჩალპება, თავისთავად ცხადია, რომ მიიღებ უკეთეს, ორგანული ნაერთებით გაჯერებულ, ჰუმუსოვან ფენას, რომელიც უკეთეს მოსავალს მოგცემს“.

გარდა იმისა, რომ ხელოვნურად გაჩენილი ხანძრები ნიადაგს ანადგურებს, ნადგურდებიან ცხოველები და ფრინველები. დედოფლისწყაროში მცხოვრები სამოქალაქო აქტივისტები სოციალურ ქსელებში თითქმის ყოველდღე ავრცელებენ ფოტომასალას, სადაც ხანძრის შედეგად დამწვარი ფრინველებია ასახული, მათ შორის ხოხობი. გარდა ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გაჩენილი მასშტაბური ხანძრების გამო ქარსაფარი ზოლების თითქმის 90 %-იც აღარ არსებობს. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე ამირან კოდიაშვილი ამბობს, რომ ის, რაც ხდება, პირველ რიგში, საზოგადოების გაუნათლებლობით არის გამოწვეული:

„ფერმერი ვერ ხვდება იმას, რომ ამით აზარალებს საკუთარ თავს და ქვეყანას. როდესაც შენ ქარსაფარ ზოლს წვავ, ის ქარსაფარი ზოლი იცავს შენსავე ნაკვეთს გამოქარვისაგან. რეალურად ეს არის უდიდესი ტრავმა. შესაბამისად, გარემო ჩვენ გვიბრუნებს არამყისიერ პასუხს. გარემოს და ეკოსისტემას აქვს უნარი, რომ გარკვეული პერიოდი წინააღმდეგობებს გაუმკლავდეს. რადგან მყისიერი უკუშედეგი არ დგება, სწორედ ეს ატუტუცებს ხალხს. ხალხს ჰგონია და ფიქრობს, რომ გადაწვა მიწის ნაკვეთი და მშვენიერ მოსავალს მიიღებს, მაგრამ ეს ასე არ არის. ყველა განვითარებულმა ქვეყანამ მოსავლის აღების შემდეგ ეს პროცედურა, უკვე დიდი ხანია, აკრძალა“.

მიწის გასუფთავების მიზნით განგებ გაჩენილი ხანძარი რომ პრობლემაა, თავად ფერმერებიც აღიარებენ, მაგრამ არავინ ამბობს, რომ ამ ხერხს თვითონაც იყენებს. ფერმერ ბიძინა პაპაშვილის თქმით, ვინც ამას აკეთებს, ერთადერთი მიზანი აქვს, დაზოგოს ფინანსები.

არსებობს კანონი, რომელიც ნარჩენების დაწვას და ამ გზით ზიანის მიყენებას კრძალავს. კანონდარღვევის შემთხვევაში დაწესებულია 500-ლარიანი ჯარიმაც, თუმცა, როგორც ირკვევა, კანონში პირდაპირ არ წერია, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი პირი მინდვრებს მიზანმიმართულად გადაწვავს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გვითხრეს, რომ პრობლემამ წელს კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა და ამიტომ მოამზადეს კანონპროექტი, სადაც უშუალოდ მიწების გადაწვის საკითხი ჩაიწერება, ჯარიმის ოდენობა კი 1500-დან 2000 ლარამდე იქნება. გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ნინო ჩიქოვანი ამბობს, რომ ამჟამადაც აჯარიმებენ კანონდამრღვევებს, თუმცა მათი გამოვლენა უჭირთ:

„კანონმდებლობით ჩვენ მათ დავავალდებულეთ, ქარსაფართან შემოხნან, რომ არ მოხდეს ცეცხლის სხვადასხვა ქარსაფრებზე გადასვლა, მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როცა ცეცხლი ქარსაფარებზეც ვრცელდება. ახლა ახალი კანონპროექტი გვაქვს შემუშავებული „ნიადაგის დაცვის შესახებ“, რომელიც შემოდგომაზე პარლამენტს წარედგინება დასამტკიცებლად და იქ უკვე უშუალოდ მინდვრების გადაწვასთან დაკავშირებით იქნება შეტანილი მუხლი“.

ამ პრობლემებიდან გამომდინარე, ინტერნეტში, სპეციალურ ვებსაიტზე, საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის სახელზე შექმნილია ორი პეტიცია. ერთ შემთხვევაში მოთხოვნაა, სანქციები გამკაცრდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებში ხანძრების განზრახ გაჩენისთვის, მეორე პეტიციით კი მოითხოვენ დაჩქარდეს კანონის მიღება ქარსაფარი ზოლების შესახებ, რაც მათ განადგურებას ასევე დასჯადს გახდის. ბოლო წლების განმავლობაში დედოფლისწყაროში, შირაქის ველზე, დაიწვა როგორც ძველი ქარსაფრები, ასევე ახლად გაშენებული ნარგავები, რამაც, სპეციალისტების თქმით, გარემოს უკვე მიაყენა სერიოზული ზიანი.

გიორგი ალადაშვილი

სტიქია სვანეთში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების წინასწარი შეფასებით, 25 ივლისს მესტიის მუნიციპალიტეტში განვითრებული სტიქია ბუნებრივი ფაქტორებით იყო გამომწვევი.

უხვმა ატმოსფერულმა ნალექებმა, თანდართულმა მყინვარების ინტენსიურმა დნობამ, მესტია-ჭალის ხეობაში, კერძოდ მურყვამისა და ლეხზირის მყინვარებზე გამოიწვია ყინულოვან-მორენული მასის ჩამოშლა, რამაც გადაკეტა ხეობა და წარმოქმნა დროებითი ტბა, რომლის გარღვევის შედეგადაც მდინარე მესტია-ჭალის ხეობაში განვითარდა უეცარი წყალმოვარდნა (მოვარდნილი ტალღის დონემ მდინარე მესტია-ჭალის ჰიდროლოგიურ სადგურზე 70-დან 100 სმ-მდე მოიმატა). წყლის დონის მატება გადაიზარდა ღვარცოფში. აღნიშნული მოვლენა განმეორდა 3-ჯერ, პირველი ტალღის წარმოქმნის დრო — 7 სთ, მეორე — 14 სთ და მესამე ტალღა 19 სთ-ზე განვითარდა, რომელმაც ინფრასტრუქტურული ობიექტები დააზიანა.

ამჟამად, სააგენტოს სპეციალისტების ჯგუფი მესტია-ჭალას ხეობაში იმყოფებიან, მიმდინარეობს ტერიტორიის შესწავლა, მომზადდება რეკომენდაციები შესაბამისი დამცავი ღონისძიებების გასატარებლად.

„ამ ეტაპზე სპეციალისტების განმარტებით, აღინიშნება მდინარე მესტია-ჭალას წყლის დონის კლება. 24 ივლისს გარემოს ეროვნულ სააგენტოში მომზადდა და გავრცელდა გაფრთხილება 24 ივლისის დღის მეორე ნახევრიდან 26 ივლისის დილამდე დასავლეთ საქართველოს ჩრდილო მთიან რეგიონებში ზოგან ძლიერი ნალექების, პატარა მდინარეებზე შესაძლო წყალმოვარდნების და მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების გააქტიურების შესახებ.

გარემოს ეროვნული სააგენტო ახორციელებს მიმდინარე პროცესზე უწყვეტ მონიტორინგს და შესაბამის ინფორმაციას გააცნობს საზოგადოებას“, — ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ისრაელის ფირმას ხელშეკრულება შეუწყდა

საქართველოში ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებაზე მომუშავე კომპანია „ელენილტოსთან“ ხელშეკრულება შეწყდა. ინფორმაცია საქართველოს პირველ არხს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოდან მიაწოდეს.

საუბარია ისრაელის ინვესტორების მიერ საქართველოში დაფუძნებულ კომპანიაზე, რომელთანაც პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება 2013 წლის 8 თებერვალს გაფორმდა. კომპანიას ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის 25-წლიანი გენერალური ლიცენზია ჰქონდა. „ელენილტო“ საგარეჯოსა და გარდაბნის რაიონების ტერიტორიაზე მუშაობდა.

„ხელშეკრულების თანახმად, კონტრაქტორ მხარეს ვალდებულება გააჩნდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შეესრულებინა მინიმალური სამუშაო პროგრამა, რომელიც მოიცავდა სამ ეტაპს. მეორე ეტაპის სამუშაოები დროულად არ შესრულდა, რადგან საჭირო გახდა მომიჯნავე სალიცენზიო ბლოკის ლიცენზიის მფლობელთან მოლაპარაკება. სააგენტომ გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და გაზარდა მინიმალური სამუშაო პროგრამის მეორე ეტაპის ვადა მესამე ეტაპის ვადის შემცირების ხარჯზე. მიუხედავად ამისა, კონტრაქტორს არ შეუსრულებია მინიმალური სამუშაო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები და კვლავ მიმართა სააგენტოს ვადების ცვლილების თაობაზე. სააგენტომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წერილობითაც და პირად შეხვედრებზეც არაერთხელ მისცა კონტრაქტორ კომპანიას შესაძლებლობები, გამოესწორებინა დარღვევები, თუმცა შპს „ელენილტო ჯორჯიამ“ (Elenilto Georgia) ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულა, რამაც გამოიწვია ხელშეკრულებისა და ლიცენზიის შეწყვეტა“, — აცხადებენ საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოში.



სკოლა – პირველკლასელის გარეშე?

არ არის სკოლა, არ არის სოფელი!

საქართველოს საჯარო სკოლებში პირველკლასელთა რეგისტრაცია დასრულდა: 2019-2020 სასწავლო წლისთვის, საქართველოს მასშტაბით, საჯარო სკოლებში 48 ათასამდე პირველკლასელი აღირიცხა. ეს არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური მონაცემი, თუმცა სამინისტროს თანახმადვე, წელს 109 სკოლაში პირველკლასელი საერთოდ არ ეყოლებათ.

ერთ-ერთი საჯარო სკოლა, სადაც წელს პირველკლასელი მოსწავლეები არ იქნებიან, გურჯაანში მდებარეობს. სოფელ ჭერემის საჯარო სკოლა, ზოგადად, მცირეკონტინგენტიანია. უკვე წლებია, ამ სკოლაში 6 მოსწავლე ირიცხება და მხოლოდ 5 კლასია დაკომპლექტებული. 4 კლასში თითო მოსწავლე ირიცხება, ხოლო ერთში 2 ბავშვი სწავლობს. სოფელი ჭერემი მაღალმთიანი ზონაა. ზღვის დონიდან 1000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. მიგრაცია ასეთი სოფლებიდან კიდევ უფრო ხშირია, რადგან მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემები. აღსანიშნავია, რომ სოფელ ჭერემს 20 წლის განმავლობაში, 2014 წლამდე, ელექტროენერგია საერთოდ არ მიეწოდებოდა.

ჭერემის სკოლის დირექტორი **თამაზ აბესაძე** გვეუბნება, რომ ძირითადი მიზეზი, რის გამოც სოფელი ხალხისგან დაიცალა, უმუშევრობაა. მიუხედავად ამისა, სკოლის დირექტორი ოპტიმისტურად არის განწყობილი, რადგან მომავალ წელს, მისი თქმით, პირველ კლასში ერთი მოსწავლე ეყოლებათ.

„პირველ კლასში მოსწავლე ნამდვილად არ გვყავს. ერთი ბავშვი არის, მაგრამ 18 ოქტომბერს ხდება 6 წლის და, კანონით, ამის გამო წელს ვერ ვიღებთ პირველ კლასში. ჩემი მოღვაწეობის პერიოდში ყველაზე მეტი, 14 მოსწავლე იყო სკოლაში. სოფელი რომ დაარსდა, იმ დროს 54 მოსწავლე ყოფილა“.

ქართულმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ კახეთში ჭერემის გარდა კიდევ 2 სკოლაა, სადაც წელს პირველ კლასში არც ერთი მოსწავლე არ ეყოლებათ. ეს სკოლებია სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანის მეორე საჯარო სკოლა და ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ნადუქნარის სკოლა. ნუკრიანის მეორე საჯარო სკოლის დირექტორის **მანანა მათეშვილის** თქმით, რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მის სკოლაში პირველ კლასში ნამდვილად არც ერთი ბავშვი არ იყო აღრიცხული, თუმცა მოგვიანებით შეატყობინეს, რომ 2019-2020 წელს ორი მოსწავლე ეყოლებათ. მანანა მათეშვილის თქმით, ნუკრიანის მოსახლეობა მაღალმთიანი დასახლებებისთვის განკუთვნილი შეღავათებით სარგებლობს, თუმცა, ამის მიუხედავად, წლიდან წლამდე სოფელში მუდმივად მცხოვრებთა რაოდენობა კლებულობს. შესაბამისად სკოლაში სულ უფრო ცოტა ბავშვი სწავლობს.

„მშობლებმა საბუთები არ მოიტანეს თავის დროზე და, შესაბამისად, გვიან ჩავრიცხეთ ბავშვები. ზოგადად, ახალგაზრდა ოჯახები საცხოვრებლად თბილისში მიდიან და უნდა ვთქვა, რომ სოფელი დაბერდა. ცოტა უკეთესი პირობები და სამუშაოები რომ იყოს, კარგი იქნებოდა. სოფელიც მეტნაკლებად არ დაიცლებოდა“.

კახეთში კიდევ ერთი სოფელი, სადაც წელს პირველ კლასში მხოლოდ ერთი მოსწავლე იქნება, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელი ნადუქნარია. საჯარო სკოლის დირექტორი **ივანე თურქიაშვილი** ამბობს, რომ წლების წინათ სკოლაში მხოლოდ ერთი ბავშვი დადიოდა, ახლა კი 11-ია. თურქიაშვილის თქმით, თუ წლების წინანდელ მდგომარეობას ახლანდელს შევადარებთ, შეიძლება ითქვას, რომ მაღალმთიან სოფლებში მოსახლეობის რაოდენობა ნახევარზე მეტით არის შემცირებული.

„წელს ერთი ბავშვი მეყოლება პირველ კლასში და ამით მოსწავლეთა მთლიანი რაოდენობა 11 გახდება. დაახლოებით 5 წლის წინათ სულ 1 ბავშვი იყო სკოლაში... სოფელში სამუშაო ადგილები რომ არ არის, მშობლები მიდიან იქ, სადაც მუშაობას შეძლებენ. ზოგი ჩაწერილია, მაგრამ რეალურად აქ არ ცხოვრობს. ეს ყველაფერი იწვევს არა მარტო ბავშვების, არამედ მოსახლეობის შემცირებას“.

მიუხედავად რეალობისა, მაღალმთიან დასახლებებში სკოლის დირექტორები იმედს არ კარგავენ, რომ მთიდან საცხოვრებლად ბარში წასული მოსახლეობა უკან დაბრუნდება და სკოლებში უფრო მეტი მოსწავლე ჩაირიცხება. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერა საქართველოში ბოლოს 2014 წელს ჩატარდა. ამ მონაცემებით, **საქართველოში უკვე 200-ზე მეტი სოფელია, სადაც აღარავინ ცხოვრობს.**

გიორგი ალადაშვილი

რედაქციისგან:

თითქოს არაფერია საგანგაშო, თუ რომელიღაც მთის სოფლის სკოლის პირველ კლასში მოსწავლე არ მივა! მაგრამ ეს სულაც არ არის „ადგილობრივი მნიშვნელობის“ მოვლენა. ეს ეროვნული ტრაგედიაა! რამეთუ სკოლას, რომელსაც პირველკლასელი არ ჰყავს, ხვალ-ზეგ უეჭველი დახურვა ემუქრება. დაიხურება სკოლა – მოისპობა, მოკვდება სოფელი. იგი დარჩება მოხუცების ამარა და ბოლო მცხოვრებთან ერთად დაასრულებს არსებობას!

საქართველოში 200 ნასოფლარია, სადაც აღარავინ ცხოვრობს. აი, ახლა კი ირკვევა, რომ კიდევ 109 სოფელია სიკვდილის რიგში. ეს ეროვნული ტრაგედიაა!

ხელისუფლების ვალია, მკერდით გადაეფაროს, უწამლოს ამ ეროვნულ ტრაგედიას! სოფლად, განსაკუთრებით მთაში, უნდა შეიქმნას ცხოვრებისა და შრომის პირობები, რათა ახალგაზრდა ოჯახებს ეცხოვრებოდეთ და გაქცევაზე არ ეჭიროთ თვალი.

ვუშველოთ, ავაღორძინოთ მთა. სამშობლო, უპირველესად, ნასოფლარი კი არა, ცოცხალი სოფელია!

„საქართველოს რესპუბლიკა“

SOS! სასწრაფოდ რამე უნდა მოვიფიქროთ, ქვეყანა განადგურების გზაზეა

აჰა, მგონი, მართლდება პროგნოზი, რომ მილევადი ერი ვართ და 2050 წელს საერთოდ აღარ ვიქნებით. დასხედით და ითავცემეთ, იყაყანეთ, მიწა მიატოვეთ, მიაგდეთ ფუძე-კარი, თავი სხვის ქვეყნებს შეაფარეთ და ნახეთ, რა ხდება ჩვენს სამშობლოში – ახალ სასწავლო წელს საქართველოს 109 სკოლას პირველკლასელი არ ეყოლება. დასკვნები თქვენთვის და ხელისუფლებისთვის მიმინდვია!!! სასწრაფოდ რამე უნდა მოვიფიქროთ, ქვეყანა გვექცევა და საფლავებში არ დაგაყენებენ, ვისაც რამე შეგეძლოთ და არ გაინძერით...

სკოლების სია, სადაც 2019-2020 სასწავლო წლისთვის არც ერთი პირველკლასელი არ ჩარიცხულა:

სსიპ – ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ სამების სკოლა;
სსიპ – ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ სპასოვკის №2 საჯარო სკოლა;
სსიპ – აფხაზეთის №15 საჯარო სკოლა;
სსიპ – აფხაზეთის №22 საჯარო სკოლა;
სსიპ – ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ავლევის საჯარო სკოლა;
სსიპ – ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კნოლევის საჯარო სკოლა;
სსიპ – ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ვლადიმიროვკის საჯარო სკოლა;
სსიპ – მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ აღკულის საჯარო სკოლა;
სსიპ – მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფრეთის საჯარო სკოლა;
სსიპ – ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქვალონის საჯარო სკოლა;
სსიპ – წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კუშის საჯარო სკოლა;
სსიპ – ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეს №3 საჯარო სკოლა;
სსიპ – ქალაქ ახალციხის №7 საჯარო სკოლა;
სსიპ – დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საფარლოს საჯარო სკოლა;
სსიპ – ბაქირ კარალოვის სახელობის დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ იფნარის საჯარო სკოლა;
სსიპ – დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ კიზილაჯლოს საჯარო სკოლა;
სსიპ – დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგარახლოს საჯარო სკოლა;
სსიპ – წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის №2 საჯარო სკოლა;
სსიპ – ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ მიასნიკიანის საჯარო სკოლა;
სსიპ – ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ აფნიის საჯარო სკოლა;
სსიპ – ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოზალის საჯარო სკოლა;
სსიპ – ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუზავეთის საჯარო სკოლა;
სსიპ – ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ აზმანის საჯარო სკოლა;
სსიპ – ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარალეთის №2 საჯარო სკოლა;
სსიპ – ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლა;
სსიპ – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საჩხეურის საჯარო სკოლა;
სსიპ – აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ დერჩის საჯარო სკოლა;
სსიპ – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჟონეთის საჯარო სკოლა;
სსიპ – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუბისწყლის საჯარო სკოლა;
სსიპ – ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭის საჯარო სკოლა;
სსიპ – გელა ბელაუსოვის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულის საჯარო სკოლა;
სსიპ – ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლა;
სსიპ – შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ლომანაურის საჯარო სკოლა;
სსიპ – შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟანივრის საჯარო სკოლა;
სსიპ – შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ვანის საჯარო სკოლა;
სსიპ – შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხემლისის საჯარო სკოლა;
სსიპ – შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარდულის საჯარო სკოლა;
სსიპ – შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემოხევის საჯარო სკოლა;
სსიპ – შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლა;
სსიპ – შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ცინარეთის საჯარო სკოლა;
სსიპ – შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგაძეების საჯარო სკოლა;
სსიპ – ფრიდონ მახარაძის სახელობის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მახალაკიძეების საჯარო სკოლა;
სსიპ – ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჯოლის საჯარო სკოლა;
სსიპ – ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხიის საჯარო სკოლა;
სსიპ – ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიროვნის საჯარო სკოლა;
სსიპ – ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ პანტნარის საჯარო სკოლა;
სსიპ – შერიფ ხიმშიაშვილის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ მთისუბნის საჯარო სკოლა;
სსიპ – ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლა;
სსიპ – ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სკვანის საჯარო სკოლა;
სსიპ – ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვერნების საჯარო სკოლა;
სსიპ – ტბელ აბუსერიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანის საჯარო სკოლა;
სსიპ – ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანიაკეთის საჯარო სკოლა;
სსიპ – ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ გელაურის საჯარო სკოლა;
სსიპ – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხვის საჯარო სკოლა;
სსიპ – ბეჟან ხარაიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლა;
სსიპ – გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭერემის საჯარო სკოლა;
სსიპ – ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ნადუქნარის საჯარო სკოლა;
სსიპ – სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანის №2 საჯარო სკოლა;
სსიპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის №1 საჯარო სკოლა;
სსიპ – მარლენ ბარამიას სახელობის ქალაქ სამტრედიის №6 საჯარო სკოლა;
სსიპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ წიაღუბნის საჯარო სკოლა;
სსიპ – მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ხუნწის საჯარო სკოლა;
სსიპ – მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დოშაყეს საჯარო სკოლა;
სსიპ – დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შატილის საჯარო სკოლა;
სსიპ – დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანდუკის საჯარო სკოლა;
სსიპ – დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მლეთის საჯარო სკოლა;
სსიპ – დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოძისის საჯარო სკოლა;
სსიპ – დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩირიკის საჯარო სკოლა;
სსიპ – დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კაიშაურების საჯარო სკოლა;
სსიპ – დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლამოვანის საჯარო სკოლა;
სსიპ – დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩარგლის საჯარო სკოლა;
სსიპ – თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩეკურაანთგორის საჯარო სკოლა;
სსიპ – თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოჭორმის საჯარო სკოლა;
სსიპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლასურიაშის საჯარო სკოლა;
სსიპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორხვის საჯარო სკოლა;
სსიპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ თაბორის საჯარო სკოლა;
სსიპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვირიშის საჯარო სკოლა;
სსიპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩქუმის საჯარო სკოლა;
სსიპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლა;
სსიპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ აღვის საჯარო სკოლა;
სსიპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირმის საჯარო სკოლა;
სსიპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლუხვანოს საჯარო სკოლა;
სსიპ – ქალაქ ჭიათურის №12 საჯარო სკოლა;
სსიპ – როინ მირონტაძის სახელობის ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მორძგვეთის საჯარო სკოლა;
სსიპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუქრუთის №1 საჯარო სკოლა;
სსიპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მერევის საჯარო სკოლა;
სსიპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჭევის საჯარო სკოლა;
სსიპ – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხეთის საჯარო სკოლა;
სსიპ – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამანევის საჯარო სკოლა;
სსიპ – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსტანის საჯარო სკოლა;
სსიპ – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟოშხის საჯარო სკოლა;
სსიპ – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოტევის საჯარო სკოლა;
სსიპ – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ონის საჯარო სკოლა;
სსიპ – ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდის საჯარო სკოლა;
სსიპ – ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეძილეთის საჯარო სკოლა;
სსიპ – ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლა;
სსიპ – ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიორის საჯარო სკოლა;
სსიპ – ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლა;
სსიპ – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ რკვიის საჯარო სკოლა;
სსიპ – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ წევის საჯარო სკოლა;
სსიპ – ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხესულორის საჯარო სკოლა;
სსიპ – ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა გორას საჯარო სკოლა;
სსიპ – ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ გადიდის საჯარო სკოლა;
სსიპ – ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ დუცხუნის საჯარო სკოლა;
სსიპ – ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ონჯოხეთის საჯარო სკოლა;
სსიპ – ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ რომანეთის საჯარო სკოლა;
სსიპ – ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის №1 საჯარო სკოლა;
სსიპ – ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფის საჯარო სკოლა;
სსიპ – ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ სარგვეშის საჯარო სკოლა.

ნინო კვაჭანტირაძე

რუბრიკას უძღვება ქეთევან ყუბანეიშვილი

„მოით, მოქუჩდით, ამბავს ავწერ აღრინდელსა“ აბანოთუბანი

აქ წყალი უცეცხლოდ დუღს – (არაბი გეოგრაფი იბნ ჰაუკალი, X ს.)

ისტორიული წყაროების მიხედვით, XIII საუკუნის ტფილისში, აბანოთუბანში, მინერალური წყლების 70-მდე აბანო ყოფილა. 1735 წლის ტფილისის გეგმაზე ვახუშტი ბატონიშვილი ექვს აბანოს მოიხსენიებს მხოლოდ და დასძენს **„...ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ“**. როგორც ჩანს, აბანოების რაოდენობა მცირდებოდა მტრის შემოსევისას ყოველ ჯერზე, მაგრამ იმ „ბოროტი და სისხლით გაფუჭებული“ ხოჯა (ხოჯა – ხანის შემდგომი მუსლიმის წოდება) აღა-მაჰმად ხანის შემოსევას, 1795 წლის 11 სექტემბერს, აბანოთუბანი სრულიად შეეწირება... და 1800 წელს კაპიტანი ჩუიკო ტფილისის გეგმაზე ოთხ აბანოს მონიშნავს მხოლოდ... (ჩუიკოს გეგმა ქრონოლოგიურად მესამეა ვახუშტის გეგმის შემდეგ).

მიუხედავად ტფილისის არაერთი აოხრებისა, აბანოების შესახებ ისტორიულ წყაროებში საინტერესო ცნობებს მაინც ვაწყდებით და მოით, მოქუჩდით, შევისეირნოთ XVII-XIX სს. ტფილისის აბანოთუბანში და ხომ მომყვებით?

მაშ ასე, შევდივართ აბანოთუბანში. მოკლედ, რა სახელწოდების აბანოებს არ წააწყდებით აქ – ერეკლეს, გოგილოს, ბებუთას, მელიქის, მირზოევის, შიოევის, მეითარის, ორბელიანთა და რა მოთვლის კიდევ რას? თავიდანვე გეტყვით, რომ აბანოების დასახელება მფლობელის სახელიდან ან მისი წოდებიდან მომდინარეობდა. არ გჯერათ?! თავად ნახეთ – მეითარი, ანუ „მეჰთარ“ სპარსულად წარჩინებულს ნიშნავს; მელიქი, ანუ „მალიქ“ – არაბულად გამგებელს და აქვე დავძენ, როგორც კი აბანო მფლობელს იცვლიდა, სახელიც მაშინვე იცვლებოდა.

ახლა კი XIX საუკუნის აბანოთუბნის ქუჩებში შეგასეირნებთ და განახებთ ზემოთ ჩამოთვლილი აბანოებიდან რომელი სად მდებარეობდა, სავარაუდოდ, რა თქმა უნდა. მაშ ასე, თაბორის კალთის ქვეშ ქალაქის შესასვლელთან, სადღაც „ციხის კართან“, ცნობილი აბანო – ერეკლეს აბანო მდებარეობდა. აქვე შორიახლო ყოფილა ენალას, ბებუთას, მეითარის აბანოები და ასევე გრილი აბანო. მოგვიანებით მეითარის აბანო სუმბათოვის აბანოდ გადაკეთდება, გრილი აბანო – შიოევის აბანოდ და ხომ ხვდებით რატომ? მაშ, ვაგრძელებთ სვლას.

ჰო, მთავარი არ გამომრჩეს, სადღაც აქვე უნდა იყო ხოჯას აბანო. ეს კი ცნობილი აბანო გახლავთ და რომლის ისტორია ბოლოსთვის შემოგინახეთ, ცრემლნარევად გაგაღიმებთ და ამას გპირდებით.

მანამდე კი ენალას აბანოზე მოგითხრობთ. ო-ო, ენალას აბანო! ენალა თავად ქალაქის მელიქი ყოფილა ერთ დროს (1655-1672 წწ.) და დიდი აბანო თავად აუშენებია. სახელიც აქედან მოდის. ჰოდა, ენალას აბანო XIX საუკუნეში მირზოევის აბანო გახდება, რომელიც მირზოევამდე ზუბალაშვილების ყოფილა და რომელიც მანამდე მათ ეკუთვნოდათ ... მოდით, მეტს არ დაგღლით და ჭრელ აბანოზე გიამბობთ. ეს ირანული არქიტექტურის სტილის ულამაზესი აბანო ერთ დროს ორბელიანების ყოფილა. სწორედ ეს აბანო მოხიბლავს დიდ რუს პოეტს ალ. პუშკინს და დააწერინებს ცნობილ სიტყვებს – „Отроду не встречал я... ничего роскошнее Тифлисских бань...“ (Путешествие в Арзрум, 1829 г.) და აქვე დავძენ, რომ შორს წაგვიყვანს მარკო პოლოს (XIII ს.), ვასილი გაგარას (XVII ს.), ჟან შარდენისა (XVII ს.) და საქართველოზე შეყვარებული იმ ფრანგი მწერლის, ჰო იმ „სამი მუშკეტერის“ ავტორის, დიუმას (XIX ს.) შეფასებები ტფილისის აბანოების შესახებ.

მოკლედ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ჩვენმა თბილის-ქალაქმა და მისმა გულმა (თუ სულმა?) აბანოთუბანმა, დღიდან დაარსებისა არ დაჰკარგა მიმზიდველობა (საინტერესო დეტალი – აბანოთუბანში აღმოჩენილი უძველესი აბანო თარიღდება ჩვ.წ.აღ. I-II სს.) – ტფილისის აბანოები ხომ მუდამ **„...მსურველთათვის ღია იყო, ხალხს გათენებამდე შეეძლო შიგ ყოფნა. აბანო ჩამოსული გლეხისთვის ზოგჯერ სასტუმროს დანიშნულებასაც ასრულებდა. საქონელს ბაღში მირეკავდა, თვითონ კი, განბანილ-განსპეტაკებულს, ორ შაურად, მთელ ღამეს აბანოში არხეიდან ეძინა ...აბანოში ქალები მთელი დღით რჩებოდნენ და სადილობდნენ კიდეც... მერე ჩაის სმა იწყებოდა – ეს იყო მათი კლუბიცა და თეატრიც. გარდა ამისა, ქალებს საშუალება ეძლეოდათ, აბანოში გამოეფინათ თავიანთი ტუალეტები და ძვირფასი სამკაულები. ქალს ახალი ტანისამოსი უეჭველად აბანოში უნდა ჩაეცვა ...რასაკვირველია, მაჭანკალი ქალები არც აბანოში ივიწყებდნენ თავიანთ პროფესიას. ბევრი ლამაზი ქალის ბედი გადაწყვეტილა აბანოში, ბევრი სანდომიანი „ქალი და რძალი“ გაბედნიერებულა და ბევრი ფიზიკური ნაკლიც აღმოსაჩენია გატიტვლებულ ქალს“** (ი. გრიშაშვილი).



დასასრულს კი ხოჯას აბანოზე გიამბობთ და როგორც დაგპირდით, ცრემლნარევად გაგაღიმებთ. მოკლედ, ერთ დროს ძველსა ტფილისს გალავნის შიგნით ციხის აბანო მდგარა, რომელსაც ხოჯას აბანოს უწოდებდნენ. თურმე ქალაქის აღებისისას ეს საჭურისი ხოჯა აბანოში შესულა და უნახავს, მაგრამ რა(!) უნახავს – **„...და გაუკვირდა სიკეთე ტფილისისა, მოეწონა წყალნი წმინდანი ყოველითურთ, აღუმრეველნი და მარგებელნი“ და გაიფიქრა... ხომ ხვდებით, რასაც გაიფიქრებდა?! ჰო, მაგრამ საჭურისი საჭურისად დარჩენილა, სენისგან ვერ განკურნებულა და გაბრაზებულს ბრძანება გაუცია – აბანოები ძირიანად გაანადგურეთო...**

ვახ, რა ისტორიის მატარებელი ხარ შენ, ჩემო თბილის-ქალაქო!

ბოლოს კი ტფილისის დიდ მოტრფიალეს – იოსებ გრიშაშვილს დავესესხები და გეტყვით – „...ტფილისის ნახვა და აბანოში არშესვლა იგივეა, პარიზში ჩახვიდე და ეიფელის კოშკი არ ნახო“.

იმედია, მოგეწონათ აბანოთუბნის ისტორია და ტფილისის სხვა ისტორიებიც არანაკლებ საინტერესო იქნება და ამასაც გპირდებით, მაააშ.

თბილისი ლამაზი ქალაქების სიაში მოხვდა

ამერიკულმა ტელეკომპანია CNN-მა 20 ლამაზი ევროპული ქალაქი დაასახელა. სიაში თბილისიც მოხვდა.

CNN ტურისტებს მეტეხის ეკლესიისა და ნარიყალას ციხის მონახულებას, ასევე ძველ ქალაქში გასეირნებას ურჩევს.

არხის მიერ დასახელებულ 20 ქალაქს შორის ასევე მოხვდნენ ანტვერპენი, აბერდინი, ვროცლავი, ბერნი, მინსკი, ერევანი, ანკარა და ტურინი.

„თბილისის ცის ქვეშ“

დედაქალაქის მერიის ინიციატივითა და „არტაერას“ ორგანიზებით პროექტის „თბილისის ცის ქვეშ“ ფარგლებში, ამაღლების ქუჩაზე, თბილისური ეზოს ფორმატში გიო ცინცაძის კინომუსიკის საღამო გაიმართა.

ღონისძიებას თბილისის მერის მოადგილე სოფიო ხუნწარია სტუმართან, ერევნის მერის მოადგილე ტიგრან ვირაბიანთან ერთად დაესწრო.

მსმენელის წინაშე ოპერისა და ბალეტის თეატრის კამერული ორკესტრი - „კამერატა“ და ვოკალისტი ნინო ჩაჩუა წარდგნენ. ღონისძიების მუსიკალური ხელმძღვანელი გახლდათ ლევან გოცირიძე, ხოლო მთხრობელები – კახა თოლორდავა, ინეკე სმიტსი და ქეთი მაჭავარიანი.

გიო ცინცაძე 60-ზე მეტი მხატვრული და დოკუმენტური ფილმის მუსიკის ავტორია. მას არაერთ რეჟისორთან უმუშავია.

გიო ცინცაძის შემოქმედების ძირითადი ნაწილი მხოლოდ ციფრული ვერსიის სახით არსებობდა. სპეციალურად „თბილისური ეზოსთვის“ შეიქმნა რამდენიმე ნაწარმოების პარტიტურა, რომელიც ცოცხლად პირველად შესრულდა.

ოლიმპიური ფესტივალი

ჭიდაობა

4-4 „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“

ასეთი შედეგით დაასრულეს ასპარეზობა ბაქოში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა. შეჯიბრების დასკვნით დღეს ბრინჯაოს მედლები დავით ფაცინაშვილმა (თავისუფალი ჭიდაობა, 65 კგ) და ნუკრი ბენიძემ (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, 51 კგ) დაიმსახურეს. მანამდე კვარცხლბეკზე ავიდნენ: „თავისუფალ-თაგან“ – ნიკოლოზ სანთელაძე (მე-2 ადგილი, 45 კგ), ლუკა გუგეშაშვილი (მე-2 ადგილი, 48 კგ) და დავით აბდალაძე (მე-3 ადგილი, 60 კგ), ხოლო „კლასიკოსთაგან“ - რომეო ბერიძე (მე-2 ადგილი, 55 კგ), ხვიჩა აბულაძე (მე-2 ადგილი, 48 კგ) და ნიკა ბროლაძე (მე-3 ადგილი, 60 კგ).

გივი გაგუა

ჟიუდო

ჯერჯეროობით - ერთი ჩემპიონი

უკვე გაუწყეთ, რომ ევროპის XV ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე ძიუდოისტთა ასპარეზობის პირველ დღეს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ნიკა ბაჩიაშვილი (50 კგ) ავიდა. გუშინ სამი ჩვენებური ცდიდა ძალებს, მაგრამ ყველა დილის ცვლაშივე დამარცხდა.

ელგუჯა ჭინჭარაშვილმა (66 კგ) ლიტველ პიიუს მიკალაუსკასს კი სძლია, თუმცა, აზერბაიჯანელ მარტინ რეზაზადესთან ვერაფერს გახდა; გიორგი იანტბელიძემ (73 კგ) იპონებით აჯობა ავსტრიელ სებასტიან დენგისა და მოლდოველ დან სტანილას, მაგრამ მეოთხედფინალი თურქ მუსა სიმსეკთან ვაზარით წააგო.

გოგონათა ტურნირში მარიამ ლაფაჩიშვილი უკრაინელ ვლადისლავა სნიტკოსთან დამატებით დროში მიღებული მე-3 შიდოთი დაემშვიდობა შეჯიბრებას.

დღეს ფესტივალზე აკაკი ჯაფარიძე (81 კგ), თორნიკე ფოლადიშვილი (90 კგ), გიგა ტატიაშვილი (+90 კგ) და გვანცა სომხიშვილი (+70 კგ) იჭიდავებენ.

ლაშა დიდია

ჩოგბურთი

სისხლი სისხლის წილ

ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომ იტყვიან, მეტოქეებს დაერია და რევანშს რევანშზე იღებს.

გუშინ უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს პირველმა ჩოგანმა ჰამბურგში მიმდინარე ATP-500 პრესტიჟული ტურნირის მეორე წრეში არგენტინელ ხუან იგნასიო ლონდეროზე ჯავრი წლევანდელ როლან გაროსზე

დამარცხებისთვის იყარა.

მეოთხედფინალში საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-16 ნომერი კიდევ უფრო მოტივირებული გავიდა კორტზე ფრანგი ჟერემი ჩარდის წინააღმდეგ, რადგან მასთან აქამდე გამართული ორივე ბრძოლა წაგებული ჰქონდა და ძველი ანგარიშების გასწორება მართებდა.

სტიმულთან ერთად ჩვენს თანამემამულეს გუშინ შემწედ უფრო მაღალი კლასიც მოევლინა, რაზეც შედეგიც მეტყველებს – 6:2, 6:3.

ნახევარფინალში ნიკა ზვერევისა და კრაინოვიჩის დუელში გამარჯვებულს შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ, როგორც ამ ასპარეზობის მოქმედი ჩემპიონი, ბასილაშვილი 500 სარეიტინგო ქულასა და ტოპ-ოცეულში ადგილს მხოლოდ ტიტულის დაცვის შემთხვევაში შეინარჩუნებს.

ვიტალი ჯაფარიძე

ევროპა ლიგა

შერჩებოდათ, განა?..

გემახსოვრებათ, როგორ რთულად გადავიტანეთ რამდენიმე წლის წინათ თბილისის დინამოელთა მარცხი ევროპა ლიგის ორრაუნდიან დუელში აზერბაიჯანულ „გაბალასთან“, რასაც თან ახლდა იქაურ სტადიონზე ქართველ ჟურნალისტთა მიმართ გამოხატული აგრესია.

და აი, ვენდეტას დროც მოვიდა, ოღონდ, ამჯერად მთავარი მოვლენები, საბედნიეროდ, მხოლოდ მეზობელი სახელმწიფოს პროვინციული ქალაქის სპორტული სარბიელის მინდორზე განვითარდა და სტუმართა დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა – 2:0 (კუტალია, დაფე).

არადა, როცა თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე საბურთალოზე დინამოელთა ფან-კლუბის თავკაცი როლანდ გაფრინდაშვილი შემხვდა და გაოცება ვერ დავფარე – დღეს აქ რა გინდა-მეთქი, პასუხად კი მივიღე – მასპინძლებმა უსაფრთხოების გარანტია ვერ მოგვცეს და პირდაპირ მათ გულშემატკივართა შორის მოთავსება შემოგვთავაზესო. კიდევ ერთი პროვოკაციის სუნი მომივიდა.

კიდევ კარგი, შევცდი.

ასეა თუ ისე, საქართველოს ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა დიდი ნაბიჯი გადადგა მორიგი პლეი-ოფისკენ, სადაც ძველ ნაცნობთან – როტერდამის „ფეიენოორდთან“ ჩვენთვის დაუვიწყარი 1981 წლის რიმეიქი ელის.

ქების ღირსია საარხერის „ჩიხურაც“, რომელიც სამშობლოში ვაჟკაცურად გაუმკლავდა „აბერდინს“ – 1:1 (კორიფაძე-პენალტით) და ერთ კვირაში შოტლანდიას სრულიადაც არ ეწვევა აუტსაიდერის სტატუსით.

გიორგი შოთაძე

წყალბურთი

ელიტაში - მსოფლიოს საგზურით

ბულგარულ ბურგასში რამდენიმე დღეა გრძელდება 15-წლამდელ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის პირველი ჩემპიონატის ფინალური ეტაპი, რომელშიც 16 საუკეთესო გუნდი მონაწილეობს, მათ შორის – საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი გელა ტუკვაძე). ჩვენებმა დასკვნითი ეტაპისკენ კვალიფიკაციიდან გაიკვალეს გზა.

საპორტო ქალაქში შეჯიბრების მონაწილეები წილისყრით ოთხ ჯგუფში გადანაწილდნენ. ქართველმა წყალბურთელებმა სტარტზე რუსებთან, ფაქტობრივად, რეალური მოგება გაუშვეს ხელიდან – ბოლო პერიოდის წინ ოთხი ბურთით იგებდნენ შეხვედრას, მაგრამ საბოლოოდ ფრეს (9:9) დასჯერდნენ. მეორე ტურში ისინი იტალიასთან 8:12 დამარცხდნენ, გადამწყვეტ, მესამე ორთაბრძოლაში კი ჩვენებმა (ჩაგელიშვილი, კოზაშვილი (1), მიქაუტაძე, ბაგაშვილი, გელაშვილი (2), ს. ტყეშელაშვილი (2), ახვლედიანი (6), ვასაძე, გორგოძე, კირიაკიდი (1), ჩიქოვანი (1), ცოტაძე (1), ნ. ტყეშელაშვილი) ჰოლანდიელებს აჯობეს – 14:11 და მეოთხედფინალისთვის პაექრობის უფლება მიიღეს.

ჯგუფური ეტაპის შემდეგ:

A ჯგუფი: ხორვატეთი – 9 (36:26), უნგრეთი – 6 (41:19), სლოვაკეთი – 3 (19:40), რუმინეთი – 0 (14:31);

B ჯგუფი: საბერძნეთი – 9 (45:19), ესპანეთი – 6 (37:19), თურქეთი – 3 (36:36), ბულგარეთი – 0 (15:59);

C ჯგუფი: იტალია – 9 (36:21), საქართველო – 4 (31:32), რუსეთი – 4 (27:30), ჰოლანდია – 0 (28:39);

D ჯგუფი: სერბეთი – 9 (53:17), მონტენეგრო – 6 (38:29), სლოვენია – 3 (26:41), ბელარუსი – 0 (20:50).

პირველადგილოსნები – ხორვატეთი, საბერძნეთი, იტალია და სერბეთი პირდაპირ მეოთხედფინალში გავიდნენ, ხოლო დანარჩენი ოთხი საგზურისთვის მეორე-მესამეადგილოსნები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს: საქართველოს 15-წლამდელებმა სლოვაკთანატოლებს სძლიეს – 12:8 (ჩაგელიშვილი, კოზაშვილი (1), გოცირიძე, ბაგაშვილი, გელაშვილი (1), ს. ტყეშელაშვილი (2), ახვლედიანი (3), ვასაძე, გორგოძე (1), კირიაკიდი, ჩიქოვანი (4), ცოტაძე, ნ. ტყეშელაშვილი).

– სლოვაკებთან წარმატებამ ძალიან გაგვახარა, – გვითხრა საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **ოთარ ქოიავამ,** რომელსაც ბურგასში შევეხმიანეთ. – ოთხბურთიანი სხვაობით გავიმარჯვეთ, ქართული წყალბურთის ისტორიაში პირველად 8 საუკეთესო გუნდში მოვხვდით და მსოფლიოს საგზურიც გავინაღდეთ...

დანარჩენ მერვედფინალურ შეხვედრათა შედეგები: უნგრეთი – რუსეთი 11:5, ესპანეთი – სლოვენია 12:11, მონტენეგრო – თურქეთი 14:4.

მეოთხედფინალში საქართველოს ნაკრები საბერძნეთის გუნდს შეხვდა. პირველი ორი პერიოდი თანაბარ ბრძოლაში გაილია. მესამე რვაწუთიანი მონაკვეთი ჩვენებმა მოიგეს და 8:7 დაწინაურდნენ, მაგრამ საბოლოო გამარჯვებისთვის საჭირო დენთი ბოლომდე არ ეყოთ და 10:12 დამარცხდნენ. ბერძნები მედლებისთვის, ქართველები კი მეხუთე-მერვე ადგილებისთვის პაექრობას განაგრძობენ და დღეს ხორვატეთს დაუპირისპირდებიან.

მეოთხედფინალები: ესპანეთი – იტალია 5:6, მონტენეგრო – ხორვატეთი 10:9, უნგრეთი – სერბეთი 12:11.

დღეს ითამაშებენ: **V-VIII ადგილებისთვის:** საქართველო – ხორვატეთი, სერბეთი – ესპანეთი; **ნახევარფინალში:** უნგრეთი – იტალია, საბერძნეთი – მონტენეგრო.

ლექსო ცინცაძე

„კაცი, რომელსაც უკან მოხედვის არ ეშინია“... — თავის დროზე ასე დავასათაურე წერილი, რომლის სათაურში 5 წლის შემდეგ მხოლოდ ერთ სიტყვას „ეშინია“-ს „ეშინოდა“-თი ჩავანაცვლებ, რადგანაც ნუგზარ მხეიძე გარდაიცვალა და ამიტომ მასზე საუბარი მხოლოდ წარსულ დროშია უპრიანი. დანარჩენს კი, წერილის შინაარსს უცვლელად გთავაზობთ:

„კაცი, რომელსაც უკან მოხედვის არ ეშინოდა“...



დაიბადა თბილისში, ვერის უბანში. იგი იმ თაობის წარმომადგენელია, ვისაც, როგორც წესი, საკუთარი მამები სახით არ ახსოვთ, რადგან მათი მამების უმრავლესობამ საკუთარი სიცოცხლით აგეს პასუხი 1930-იანი წლების რეპრესიებისას, ხოლო მათმა შვილებმა ათეულწლობით ზიდეს „ხალხის მტრის შვილების“ უმძიმესი თიკუნი!

უმამობის სიმწარე ბატონ ნუგზარს მეტნაკლებად მისმა გამზრდელმა პაპა-ბებიამ დაუტკბეს — თებრო ფიროსმანაშვილმა და მოსე ჯორკოშვილმა, უბრალო ქიზიყელმა გლეხებმა აღზარდეს და „გზაზე დააყენეს“!..

ძია მოსე! ასე ეძახდა სიყვარულით დიდპატარა მაშინდელი თბილისის კოლორიტად ქცეულ ქიზიყელ მწყემსს, რომელიც ლამის ნახევარი საუკუნე იჯდა თბილისის უნივერსიტეტის შესასვლელში და სტუდბილეთებს უმოწმებდა სტუდენტებს — ახლა სტუდენტებს მწყემსავდა ძია მოსე, თუმცა უსტუდბილეთოდაც ცნობდა უნივერსიტეტის თითქმის ყველა სტუდენტს, აკი ერთხელ, უნივერსიტეტის ერთ ლექტორს გაოცებულს უკითხავს — ძია მოსე! ამდენ ხალხს როგორ იმახსოვრებო.

— ჯოო! ფარაში, რომელი ბატკანი რომელი ცხვრისა იყო, იმას ვცნობდი და სტუდენტების ცნობას, რა უნდაო, — ქიზიყურად გაუცია პასუხი...

ჰოდა, სად, თუ არა დედაუნივერსიტეტში გააგრძელებდა სწავლას ყმაწვილი ნუგზარ მხეიძე — იქვე, უნივერსიტეტის გადაღმა ვარაზისხევში მცხოვრები და თანაც ძია მოსეს შვილიშვილი. მაშინ, „იმ ბნელ დროს“, დღევანდელივით მხოლოდ პრაგმატული, ბიზნეს-ეკონომიკური ფაკულტეტები კი არ იყო მოდაში, არამედ უფრო რომანტიკულ-ვაჟკაცური მისწრაფებები დომინირებდა ყმაწვილკაცობაში და ნუგზარ მხეიძემაც გეოლოგიურზე გააკეთა არჩევანი — როგორც წესი, გეოლოგიურის სტუდენტები კეთილაღნაგობითაც გამოირჩეოდნენ და სპეციალური ფორმა, რომლითაც ისინი დადიოდნენ, მხოლოდ ხაზს უსვამდა მათ მამაკაცურობას, რაც დიდი მოწონებით სარგებლობდა მაშინდელ კდემამოსილ ქალიშვილებში, რომელთა საყვარელი უმაღლესი სასწავლებელი ასევე უნივერსიტეტი იყო!..

გურამ თიკანაძე, თემო (კუხო) კუხიანიძე, ჯუმბერ მეძმარიაშვილი — გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები იყვნენ, რომლებმაც დიადი მთების გოროზ სილამაზეს შესწირეს ლამაზი სიცოცხლე. აღარაფერს ვიტყვი ფილოლოგიურის სტუდენტ გურამ რჩეულიშვილზე, რომლის გატაცებაც მთები იყო, მაგრამ სიცოცხლე საკუთარი თავივით მღელვარე შავი ზღვის ტალღებში დაასრულა!

ასევე გეოლოგიურის სტუდენტები იყვნენ ნორა ინწკირველი, ენდი ვარსიმაშვილი, ლამარა ბაძაღუა, რომლებიც ისეთი ლამაზები ყოფილან, რომ „ფორას მისცემდნენ“ დღევანდელი სილამაზის კონკურსის დედოფლებს... არაფერს ვიტყვი სხვა ფაკულტეტების ფერიებზე, რადგან მათი ჩამოთვლა, აუუუ, ძალიან შორს წაგვიყვანს...

მოკლედ, ნუგზარ მხეიძე არჩევანში არ შემცდარა. მით უმეტეს, რომ ისეთი კაცის, ძია მოსეს პროტეჟე იყო, ვისაც უნივერსიტეტის რექტორმა, დიდმა ნიკო კეცხოველმა (ერთმანეთთან ჯანსაღად ფამილარული, ალალი ურთიერთობა ჰქონდათ) მესამე სართულიდან ჩამოსძახა თურმე „პოსტზე მდგარს“ — მოსე, მოსე! შენს შვილიშვილს ნიშნები მეტი მოუვიდაო...

ერთი სიტყვით, ბატონმა ნუგზარმა სტუდენტობისასაც, როგორც მოყვარულმა მთამსვლელმა, ზემოთ ჩამოთვლილ მთის არწივებთან ერთადაც იარა ალპინიადებში და მას მერეც, როგორც გეოლოგმა, მოიარა საქართველოს მთა-ბარი და 50-იანი წლების მიწურულს ჩაება იმ დროისათვის „კერასინკებიანი“ თბილისის გაზიფიკაციის საქმეში.

1959 წელს, მოწინავე გამოცდილების მისაღებად, თბილისიდან კიევს მიავლინეს მოგავალ ინჟინერ-ტექნიკოსთა დიდი ჯგუფი ოთარ ჩინჩალაძის მეთაურობით, რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად ახალგაზრდა ინჟინერი ნუგზარ მხეიძეც იყო.

იმ „სხვებთან ერთადში“ ჩამოვთვლი ვინც გამახსენდება, ანუ იმათ, ვის სახელებსაც უკავშირდება თბილისისა და შემდეგ მთელი საქართველოს გაზიფიცირების საშვილიშვილო საქმე. მიუხედავად იმისა, ვინ იყო და ვინ არა, იმ ქართული დესანტის შემადგენლობაში უკრაინაში: გიორგი ბარძიმოვი, ჯერ თბილგაზის და შემდეგ „გლავგაზის“ უცვლელი ხელმძღვანელი, ოთარ ჩინჩალაძე—ბარძიმოვის შემდეგ თბილგაზის უცვლელი მმართველი, ვახტანგ კვანტრიშვილი, კარლო ნიკოლაიშვილი, ვანო ზაზაშვილი, ვანო ჯაფარიძე, ჯუმბერ დუმბაძე, ბიძინა გიორგაძე, ჯემალ ქლიბაძე, ნოდარ ბარნაბიშვილი, მიშა მაისურაძე, ოთარ ჩაჩანიძე, ანზორ ზუბაშვილი, თენგიზ (კიკლია) ლილუაშვილი, საშა ჯიქია, ოთარ გოგეშვილი, ჟორა კოპალეიშვილი, ლეო მჟავია და ა.შ. სხვა მართლაც მრავალნი (ვინც ვერ დავასახელე, მათ მიმართ ბოდიშს ვიხდი. განსაკუთრებით გარდაცვლილების სულებს ვთხოვ შენდობას — ვინც დავასახელე, მათი უმრავლესობა ხომ აღარ არის და ვინც გამომრჩა მათი უმრავლესობაც გარდაცვლილი იქნება), რომელთაგან თანამდებობრივად, ზოგი უფროსი იყო, ზოგი უმცროსი, მაგრამ ყველანი თბილისის გაზიფიკაციის პიონერები იყვნენ და მათი დამსახურებაა, რომ საქართველოში, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ პირველთაგან რესპუბლიკაში, მაშინ ცისფერი ალი აინთო!

ეს ამბავი კი 1959 წლის 29 დეკემბერს მოხდა და სიმბოლური ჩირაღდნის ანთების პატივი, მაშინ ლენინის რაიონის კანტორის მთავარ ინჟინერს ნუგზარ მხეიძეს ხვდა წილად.

მას შემდეგ, აგერ ნახევარ საუკუნეზე (!!!) მეტია, ნუგზარ მხეიძე სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. დიახ, ემსახურებოდა, მაგრამ, ამაზე ქვემოთ...

ნიჭიერი ინჟინერი ერთი ისეთი დანადგარის გამოგონების ავტორიც არის, რომელიც დღესაც გამოიყენება ყოფილ საბჭოეთში და არა მარტო...

„ხოლოდნაია ვრეზკა“ - ქართულად და ვრცლად კი მისი გამოგონება საშუალებას იძლევა მაგისტრალურ, ანუ, მაღალი და საშუალო წნევის გაზსადენზე ამა თუ იმ ობიექტის მიერთებისა, მთელი რაიონის გამოურთველად, რაც დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა. ჰოდა, 1967 წელს, ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე, მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე (ე.წ. ვდნხ) საქართველო ძირითადად მხოლოდ სოფლის მეურნეობის მიღწევებით ყოფილა წარმოდგენილი და მაშინდელმა, თბილისის აღმასკომის თავმჯდომარემ (დღევანდელი სტატუსით, თბილისის მერი) შოთა ბუხრაშვილმა სთხოვა ბატონ ნუგზარს, რომ მოსკოვის გამოფენაზე მისი გამოგონებული აგრეგატი გაეტანათ, რაზედაც უარი მიიღო, რადგან გამოგონების დემონსტრირება მანამდე, სანამ საპატენტო ბიურო დაამტკიცებს ავტორის უფლებებს, არ შეიძლება, რადგან ასეთ შემთხვევაში ავტორობის უფლება იკარგება!

არა უშავს, ჩვენ დაგეხმარებითო, შოთა ბუხრაშვილმა და...

დაპატენტების შემთხვევაში ყოველწლიური მატერიალური სტაბილური შემოსავლის მაგივრად (იმ გამოფენაზევე საზღვარგარეთის 7 ქვეყანამ შეიძინა აგრეგატი), ბატონი ნუგზარი პრესა-ტელევიზიაში აღიარება-ქებაზე გადაატარეს — დაპირება კი დაპირებად დარჩა და გამოგონება უბრალო „რაცპრედლოჟენიად“ ჩაეთვალა!

მოგვიანებით ისევ რუსებმა დაუფასეს გარჯა — შეიტყვეს რა, ზემოთ ხსენებული „კიდოკის“ შესახებ, 1969 წელს რუსეთის „გლავგაზმა“ ერთჯერადი პრემიის სახით 5000 მანეთით დააჯილდოვა გამომგონებელი!..

ეს ისე, მცირე ლირიკული გადახვევა...

„დავიდოვიჩ“ — ასე მიმართავდნენ უფროს-უმცროსნი ნიშნად პატივისცემისა და სიყვარულისა და ასე იხსენებენ დღესაც, აწ უკვე „ყაზტრანსგაზში“ აქაიქ შემორჩენილი თბილგაზის ძველი თანამშრომლები. რაც იმითი დაიმსახურა, რომ დიდთან დიდი იყო და პატარასთან პატარა; ყოველთვის და ყველა დონეზე შეუპოვრად იცავდა თავისადმი დაქვემდებარებული კოლექტივის ინტერესებს; განსაკუთრებით აფასებდა უბრალო მუშების, „სვარშიკების“ თუ „ექსკავატორშიკების“ შრომას — მათთან ლხინში არც პურღვინის გაზიარებას თაკილობდა და არც ღამეული ავარიების დროს გათხრილი ორმოს პირას მათთან ერთად პურ-ძეხვის მირთმევას; ჭირში ხომ ყველგან პირველი იყო — რიგითი თანამშრომლისთვის მისასამძიმრებლად მანძილს, დროსა და ამინდს არ დაგიდევდათ!

ყაზახები ვახსენე და მათაც დაუფასეს პროფესიონალიზმი და გამოცდილება. უკვე სამოცდაათს გადაცილებული კაცის მეტრიკაში ქექვა არ დაუწყიათ და თბილისის საავარიო სამსახურის უფროსობიდან მთელი ტრესტის მთავარ ინჟინრად დააწინაურეს!

ზემოთ ვთქვი, ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურა-მეთქი საყვარელ საქმეს და, რა თქმა უნდა, მუდმივი არაფერია ამ ქვეყანაზე, მაგრამ...

2008 წელს, აგვისტოს ომში მარცხის შემდეგ, იგრძნეს რა ნაცებმა მათი მმართველობის კრახის მოახლოება, გადაწყვიტეს ყველა პოლიტიკურ-ეკონომიკური ბერკეტის ტოტალური გაკონტროლება. თბილგაზის შემთხვევაში ყაზახები დაითხოვეს და ტრესტის მმართველად ანი თაქთაქიშვილი, აი იმ ჩიორას ბიძაშვილი დანიშნეს, რომლის ცხვირსაც ლამის მთელი საქართველო გადააყოლეს!

ჰოდა, ამ დედაკაცმაც ნაცების ჩვეულ სტილში, ძველი კადრების დევნა-შევიწროებით დაიწყო! ბევრი იძულებული გახადა, წასულიყო, ხოლო ახლებს ერთთვიანი კაბალური კონტრაქტები გაუფორმა, რომელთაც ყოველი თვის ბოლოს ან გაუგრძელებდა, ან — არა! სისტემა საკუთარი დაქალებით გაავსო, ანუ, ერთ „კოფე-ფართად“ აქცია, რომლის მთავარი დანიშნულება გაჭირვებული მოსახლეობიდან ნებისმიერი საშუალებით გადასახადების ამოღება იყო!

ამას ყაზახებიც არ კადრულობდნენ — არა, გადასახადებზე ისინიც ზრუნავდნენ, მაგრამ ასე, არანაირი შეღავათის გარეშე. „ძველი გვარდია“ ალბათ ამიტომაც არ აწყობდა ქალბატონს, რადგანაც ისინი, სადაც ეს შეიძლებოდა, თვალს ხუჭავდნენ მცირე დარღვევებზე და უმეტესად ანგარების გარეშე. ახალმა „მენეჯერმა“ კი, გეგმები დაუდგინა ე.წ. „წამკითხველებს“, რამდენი ჯარიმა უნდა მიეტანათ ყოველდღე!

თავიდან ბატონ ნუგზარს არ შეხებია რეპრესიების სუსხი. უფრო სწორედ ნაწილობრივ შეეხო, რადგან მთავარი ინჟინრობიდან მრჩევლად გადაიყვანეს. ხელფასიც შეუნარჩუნეს, კაბინეტიც და მანქანაც! ჰოდა, მავანი იტყვის, ალბათ, მეტი რა უნდოდა 80 წლის ბებერსო. ეს ბებერი, პროფესიონალიზმში ხომ უდავოდ და ისედაც ბევრ ახალგაზრდას „ფორას მისცემდა“, ენერგიაში, შემართებაში, გნებავთ, ჩაცმა-დახურვის სტილში, გინდაც ავტომობილის მართვაში (პირადი მძღოლი არასოდეს ჰყოლია) და თუ მართლაც დაეტყო ამ ბოლო დროს ასაკი, ეს პირველ რიგში იმ „საპატიო მრჩევლობის“ გამოა, რომელიც ბევრისთვის იქნებ სასურველი მისაღები იქნებოდა, მაგრამ არა ნუგზარ მხეიძისთვის, რომელიც „მუქთა მაყუთს“ არასოდეს გამოჰკიდებია.

ბოლოს კი „საპატიო მრჩეველმა“, როდესაც ერთ თათბირზე მართლა რჩევის მიცემა გაბედა, დედაკაცმა, სხვა, მასავით ლაწირაკი თანამშრომლების თანდასწრებით — დაჯექით, ბატონო ნუგზარ, თქვენი დრო წავიდაო!

ჰოდა, თუ დააბერა და მოტეხა რამემ, უწინარესად, ამ გაუგონარმა შეურაცხყოფამ და არა იმან, რომ ამ ცოტა ხნის წინათ საერთოდაც დაითხოვეს თავისივე აშენებული თბილგაზიდან. თანაც ისე, რომ იუბილე კი არა, მადლობის თქმაც არავის გახსენებია...

ჩიორას კლონს გული კი არა, ოდნავი ჭკუა მაინც რომ ჰქონოდა, არა თუ ჯერ კიდევ ენერგიულ ნუგზარ მხეიძეს, არამედ, თუნდაც მიხრწნილ ბერიკაცს იუბილემდე „გააქაჩინებდა“, პატარა გამოსამშვიდობებელ საღამოს მოუწყობდა და ასე გააცილებდა დამსახურებულ პენსიაზე. არც ის იქნებოდა ურიგო, რომ ჩემ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი თბილგაზის გარდაცვლილი ვეტერანების სურათებიც ეკიდოს ტრესტში, მაგრამ ნაცები ხომ უწარსულო მანქურთები არიან და ამიტომაც აშენებდნენ ქვეყანას ისტორიის გარეშე!

დავით მხეიძე

P.S. ბოლოს, ჩემი ვინაობა მინდა, გაგიმხილოთ — ნუგზარ მხეიძის უფროსი ვაჟი გახლავართ და, ამის გათვალისწინებით, ალბათ, მე არ უნდა ვწერდე ამ წერილს, მაგრამ, რა ვქნა, სხვამ არავინ შეიბერტყა ყური!

საკუთარ მამაზე ძნელია საუბარი და იქნებ გარკვეულწილად სუბიექტურიც ვიყავი, მაგრამ ეს ისეთი სუბიექტორობაა, რომელსაც ობიექტური მიზეზები განაპირობებს — მკითხველმა განმსაჯოს...

მანამდე კი დიდი მადლობა ნუგზარ მხეიძეს გაწეული მამობისთვის. მან ჩამინერგა ქართველობის, მხეიძეობის, კაცობის განცდა, გამაგებინა ძმაკაცობის ფასი, მოკლედ მისი „ბრალია“, რაცა ვარ. ბევრჯერ გვიკამათია, უბრადაც ვყოფილვართ და როდესაც სამოცს მივუკაკუნე, ახლაღა მივხვდი, რომ მშობელთან შეიძლება რაღაცაში სწორი იყო, მაგრამ მართალი არასოდეს!

მსუბუქი იყოს შენთვის შენი საყვარელი თბილისის მიწა.

დ. მ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები უსამძიმრებენ კოლეგასა და მეგობარს, ცნობილ პუბლიცისტს დავით მხეიძეს მამის, უკეთილშობილესი პიროვნებისა და ქალაქის კოლორიტის

ნუგზარ მხეიძის

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

ვანო ხახალეიშვილი



„ენგურჰესის“ ვეტერანთა რიგებს გამოაკლდა ღირსეული მამულიშვილი, ინჟინერ-მექანიკოსი ვანო ხახალეიშვილი. მას წლეულს, მარტში, შეუსრულდა 83 წელი.

ბატონი ვანო დაიბადა 1936 წლის 29 მარტს თბილისში, 1945-55 წლებში სწავლობდა თბილისის ვაჟთა №55 სკოლაში. 1956-1961 წლებში სწავლას აგრძელებს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ვანო ხახალეიშვილმა მუშაობა დაიწყო „თბილწყალკანალტრესტში“, მაგრამ, როგორც კი შეიტყო, რომ მდინარე ენგურზე თანამედროვეობის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო, ის 1962 წლიდან სამუშაოდ გადადის ამ ობიექტზე.

1964-1974 წლებში ვანო ხახალეიშვილი მუშაობდა „ენგურკაშხალმშენის“ სამმართველოში უბნის მექანიკოსად.

1974 წელს ბატონი ვანო გადადის სამთო სამუშაოების მექანიკოსად „თბილმეტრომშენის“ №5 უბანზე.

1995-2005 წლებში ვანო ხახალეიშვილი მუშაობდა მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე სამთო სამუშაოების მექანიკოსად.

ამ დაუღალავმა ადამიანმა მიწისქვეშა სამუშაოებზე 44 წელი იმუშავა. მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ისეთი ობიექტების მშენებლობაში, როგორიც იყო ენგურჰესის მაღლივი კაშხალი, ენგურჰესის სადერიკაციო გვირაბი და მეტროპოლიტენის სადგურები თბილისსა და მოსკოვში.

ვანო ხახალეიშვილი ყოველთვის ისწრაფვოდა ცოდნის გასაღრმავებლად, მან 1975-77 წლებში დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს რესპუბლიკის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ინსტიტუტი და მიიღო პატენტების დასკვნების მცოდნეთა კვალიფიკაცია.

ბატონ ვანოს უკანასკნელ გზაზე თან მიჰყვება დიდი ადამიანური სითბო და მეგობრების სიყვარული. უნდა გენახათ ეს „მრისხანე“ მამა და ბაბუა ოჯახში.

მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა, დიდო ქართველო.

შენ არასდროს დაგივიწყებენ შენი კოლეგები, შენი ოჯახი, რომელიც ასე გიყვარდა, ასე ეფერებოდი და ზრუნავდი მასზე.

საქართველოს ვეტერანთა კავშირი,
„ენგურჰესის“ ვეტერანთა კავშირი.

მეუღლე იზო შალამბერიძე, ქალიშვილი ია ხახალეიშვილი, სიძე ვახტანგ მანაგაძე, შვილიშვილები მარიამ, დავით მანაგაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვანო ხახალეიშვილი

პანაშვიდი: 26 VII, ირ. აბაშიძის №63;

დაკრძალვა: 27 VII, გამოსვენება 14 სთ. ვაკის ყოვლადწმინდა სამების ტაძრიდან. ი. ჭავჭავაძის გამზირი №37.

ნოდარ შარტავა, იულია შარტავა, კარლო შანავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ენგურჰესის მშენებლობის დამსახურებული ვეტერანი

ვანო ხახალეიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული.

და ნათელა, შვილი ირინა, შვილიშვილები ალექსანდრე, სალომე ჩხეიძეები, შვილთაშვილი საბა ჩხეიძე, რძალი ანა კუცია, მძახლები ჯემალ, ლეილა ჩხეიძეები, დისშვილი ლევან არდია და უახლოესი ნათესავები იუწყებიან

კარლო კალისტრატეს ძე წულაიას

გარდაცვალებას

პანაშვიდი: 26, 27 VII; დაკრძალვა: 28 VII, 15 სთ; გამოსვენება ბინიდან — ბალანჩივაძის VIII კორპ. ბ. 6.

ნოდარ ჭითანავა, რაულ ჯახია, თორნიკე აფაქიძე, ჯემალ შელია, დავით ქანთარია ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

კარლო წულაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

არდავიწყება

კარგი მწერალი და ადამიანი

რევაზ ჩხარტიშვილის ხსოვნას

82 წლისა გარდაიცვალა XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარის ქართული მწერლობის გამორჩეული, კოლორიტული წარმომადგენელი, პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, ლიტერატურისმცოდნე **რევაზ ჭიჭიკოს ძე ჩხარტიშვილი.**

რევაზ ჩხარტიშვილი დაიბადა 1937 წლის 27 ივნისს ფოთში, დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა, მოგვიანებით — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა.

ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას მე-4 კურსის სტუდენტი მიიწვიეს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში — მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მეხუთე ტომის მეცნიერ-რედაქტორად. ტომში შევიდა მის მიერვე მიკვლეული „ქალის ტვირთის“ უცნობი ვარიანტი.

საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის შემდეგ, ჩხარტიშვილი მოღვაწეობდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტსა და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტებში. იყო აგრეთვე „წიგნის პალატის“ მთავარი რედაქტორი, „საქწიგნის“ სამმართველოს დირექტორი.

რევაზ ჩხარტიშვილს გამოცემული აქვს 42 წიგნი, მათ შორის, ლექსების ათიოდე კრებული.

ქართველი მკითხველის ცხოველი ინტერესი გამოიწვია მისმა ისეთმა რომანებმა, როგორებიცაა „ამბოხი“, „ერთ ჭერქვეშ“, „კარუსელი“, „განაჩენი“, „სისხლიანი 1924“, „სოდომ-გომორი“, „გაცრუებული იმედი“, რომლებიც XX საუკუნის ერთგვარ მხატვრულ მატიანესაც წარმოადგენს და საბრალდებო დასკვნასაც იმ სისხლიან საშინელებათა გამო, რომლებიც ქართველობას დაატეხა თავს კომუნისტურმა ტირანიამ. ამ რომანებში ის წანამძღვრებიც ნათლად დაგვანახა, რამაც შეადუღაბა ჩვენს ერში სიმტკიცე და გაუტეხლობა და დღევანდლამდე მოგვიტანა ქრისტესავით ჯვარცმული საქართველო.

მისი პოეზია პროზის ორგანულ გაგრძელებად გვესახება. პოეტური კრებულები „სიბერის ჟამს გაჩენილი ცეცხლი“, „მიმწუხრის ჟამის ელეგიები“, „მესამე შეხვედრა მკითხველთან“, „ფოთი, ჩემი კოხტა ფოთი“, „შენ ჩემო მანათობელო“, „რაც მიფიქრია და მითქვამს“ ღრმად გვაფიქრებს წუთისოფლის ამაოებაზე და ამავე დროს ნათელი მომავლის რწმენით აღგვავსებს.

მნიშვნელოვანი წვლილი აქვს მას ქართულ პუბლიცისტიკაშიც — „ორი ეპოქის მიჯნაზე“, ავტორია რამდენიმე სამეცნიერო წიგნისა („მხატვარი და პერსონაჟები“, „დრო და მწერალი“, „ლიტერატურული კრიტიკული ბრძოლების ახლო წარსულიდან“, „ქართული სალიტერატურო კრიტიკის უახლესი ისტორიიდან“).

დაჯილდოებული იყო საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიით ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის. იყო ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე.

რევაზ ჩხარტიშვილის ხსოვნა მარად იქნება მისი თანამებრძოლების, მეგობარი მწერლებისა და შესანიშნავი ქართული ოჯახის წევრთა გულებში.

მეგობარი მწერლები

გიორგი სანაიას გარდაცვალებიდან 18 წელი გავიდა

ტრადიციულად, ყოველ 26 ივლისს გიორგი სანაიას ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები საბურთალოს სასაფლაოსთან შეიკრიბებიან.

შეგახსენებთ, გიორგი სანაია 26 წლის ასაკში, 2001 წლის 26 ივლისს საკუთარ საცხოვრებელ სახლში მოკლული იპოვეს.

საქმეზე გამოძიება ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. 2003 წლის 9 ივლისს სასამართლომ მკვლელობაში დამნაშავედ შსს-ის ყოფილი თანამშრომელი, 32 წლის გრიგოლ ხურცილავა ცნო და მას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რომელმაც სასჯელი უკვე მოიხადა.

გიორგი სანაია დღემდე ითვლება ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ქართველ ტელეწამყვანად და ერთ-ერთ საუკეთესო ჟურნალისტად. მას ცოლი და ერთი შვილი დარჩა.

ლიბიის სანაპიროსთან 150-მდე მიგრანტი დაიღუპა

გაერო-ს ლტოლვილთა სააგენტოს მონაცემებით, ნავი ლიბიის დასავლეთით, ალხომსის სანაპიროსთან ჩაიძირა. მიგრანტები სავარაუდოდ ხმელთაშუა ზღვის გავლით სამხრეთ იტალიამდე მიღწევას ცდილობდნენ.

ბორტზე მყოფი 140-მდე პირი მეთევზეებმა და ლიბიის სანაპირო დაცვის წევრებმა გადაარჩინეს. ამასთან, გაურკვეველია, რამდენი ნავით მგზავრობდნენ მიგრანტები.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 2019 წელს ხმელთაშუა ზღვაში 700 მიგრანტი დაიღუპა, 2018 წელს კი ეს მაჩვენებელი 1425-ს შეადგენდა.

გულის სითბო

ლამაზად შვილის გამზრდელი...

მაშინ, როცა ერთ დროს ცაფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტა სამშობლო ბნელმა და უკუნმა მოიცვა და ძმამ ძმას ტყვია ესროლა, ლვოვის ქუჩაზე სიყვარულით ნასაზრდოებ ზურაბ უნგიაძისა და ნატო გახოკიძის ტრადიციულ ქართულ ოჯახში დაუვიწყარი საღამოები გავატარე.

ეს გახლდათ ერთგვარი კუნძული, რომელიც ანდამატივით გიზიდავდა კაცს ყოველივე იმით, რასაც გულისხმიერება, პატივისცემა, უფროს-უმცროსობა და სტუმარმასპინძლობა ჰქვია. არ დაგავიწყდეთ, ეს ის პერიოდია, ირგვლივ უშუქობა, უწყლობა და ურთიერთგაუტანლობა რომაა გამეფებული, თუმცა, საბედნიეროდ, ბუნებაში არსებობს ადამიანური ფაქტორი, რომელიც ყოველგვარ უკეთურობაზე მაღლა დგას.

ამ შემთხვევაში ქალბატონ ნატოს — დიდი სანათესაოს, საახლობლოსა და, უბრალოდ, თუ განვაზოგადებთ — ქვეყნის დედაბოძს ვგულისხმობ, რომელიც აგერ უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა ოჯახის ბურჯად გვევლინება და, ტყუპი ქალიშვილების დედა, ასევე გადაგებულია შვილიშვილებზე, დედმამიშვილებზე, სიძეებსა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მათ სამეგობროზეც კი...

გაიხარეთ მონაგარში, უკვე 70 წლის ძვირფასო ქალბატონო ნატო!

თქვენგან ნაამაგართა სახელით —
გია პლატონიშვილი

კრემლი „ატლანტიკურ საბჭოს“ ქვეყანაში საქმიანობას უკრძალავს

გენერალური პროკურატურა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობა, რომელსაც 2014-2017 წლებში აშშ-ის ელჩი რუსეთში ჯონ ჰანსმენი ხელმძღვანელობდა, „საფრთხეს უქმნის რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციურ წყობასა და უსაფრთხოებას“.

„ჩვენ ვამაყობთ საბჭოს რუსებთან და რუსეთზე მუშაობის მრავალწლიანი ტრადიციით და იმედგაცრუებულები ვართ რუსეთის ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებით“, — აღნიშნულია „ატლანტიკური საბჭოს“ განცხადებაში, რომელიც ორგანიზაციამ „როიტერსს“ გაუგზავნა და რომელშიც აღნიშნულია, რომ რუსეთის ხელისუფლებას აღნიშნული გადაწყვეტილება მათთვის ოფიციალურად არ უცნობებია.

მიგრანტების დახმარებისთვის მილიონი ევროთი დაჯარიმდებიან

ორგანიზაციებსა და ხომალდებს, რომლებიც ხმელთაშუა ზღვაში მიგრანტებს ეხმარებიან, შესაძლოა მილიონ ევრომდე ჯარიმა დაემუქროთ, თუ ისინი იტალიის ტერიტორიულ წყლებში შევლენ.

შესაბამისი კანონპროექტი იტალიის პარლამენტის ქვედა პალატამ მიიღო. ამოქმედების შემთხვევაში, გამარტივდება იმ სამაშველო ხომალდების კონფისკაცია, რომლებიც იტალიურ პორტებში შესვლის აკრძალვას დაარღვევენ.

კანონპროექტს მხარი ქვედა პალატის 325-მა წევრმა დაუჭირა, 248 კი წინააღმდეგი იყო. კანონპროექტის ინიციატორი იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრი, ულტრამემარჯვენე პარტია „ლიგის“ ლიდერი მატეო სალვინია.

ივნისში იტალიის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი უსაფრთხოების შესახებ, რომელიც 50 ათასამდე ევროს ოდენობის ჯარიმას ითვალისწინებს იმ გემების კაპიტნებისთვის, რომლებმაც იტალიის საზღვაო საზღვარი უკანონოდ გადაკვეთეს. მოგვიანებით, აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისი ცვლილებებით პარლამენტის ქვედა პალატას კანონპროექტის სახით წარუდგინეს. საბოლოოდ დამტკიცებამდე, ინიციატივას იტალიის სენატმაც უნდა დაუჭიროს მხარი. კენჭისყრა სენატში, სავარაუდოდ, აგვისტოს შუა რიცხვებში გაიმართება.

◎ სულიერება

კვირიკე და ივლიტა მოწამენი

28 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესია იხსენიებს წმინდა მოწამეებს კვირიკეს და ივლიტას.

...წმინდა ივლიტა თავის შვილთან კვირიკესთან ერთად მხოლოდ იმიტომ დასაჯეს, რომ ის ქრისტიანი იყო და სურდა, შვილიც კეთილმსახური გამოსვლოდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დედაშვილის სახელზე ბევრი ტაძარია აგებული. ისიც საგულისხმოა, რომ კვირიკეს წმინდა ხელის მტევანი საქართველოშია დასვენებული.

ალბათ, არც ის მოვლენაა შემთხვევითი, რომ წმინდა კვირიკეს სახელს უკავშირდება „კვირიკობისთვე“ — ივლისი.

P.S. 30 ივლისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესია დიდმოწამე მარინეს... მისი სახელობის ტაძარში (ქაშუეთის ეკლესიის პირველი სართული) განსაკუთრებული ზეიმით ხვდება ამ დღესასწაულს.

გიული ლიპარტია

აშშ-ში სიკვდილით დასჯის პრაქტიკა ფედერალურ დონეზე აღდგება

20-წლიანი პაუზის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში სიკვდილით დასჯის პრაქტიკა ფედერალურ დონეზე აღდგება. სასჯელის დასჯა ადამიანების მკვლელობისა და წამებისთვის გასამართლებულ პირებს შეეხებათ.

აშშ-ის გენერალურმა პროკურორმა ბილ ბარიმ იმ ხუთი პატიმრის ვინაობა გაასაჯაროვა, რომლებსაც პირველ ეტაპზე, ინექციის საშუალებით, 2019 წლის 9 დეკემბრიდან 2020 წლის 15 იანვრამდე პერიოდში სიკვდილით დასჯიან.

პირველი სიკვდილმისჯილი დენიელ ლიუს ლი იქნება, ერთ-ერთი დაჯგუფების წევრი, რომელმაც 1999 წელს ერთი ოჯახის სამი წევრი მოკლა. მეორე სიკვდილმისჯილი ლეზმოდ მიტჩელსია, რომელმაც ჯერ 63 წლის ქალი დაჭრა სასიკვდილოდ, შემდეგ კი მის შვილიშვილს აიძულა, გარდაცვლილის ცხედართან ერთად ავტომობილით ემგზავრა, ვიდრე მკვლელმა გოგონაც სიცოცხლეს არ გამოასალმა. კიდევ ერთი პატიმარი, რომელსაც სიკვდილით დასჯიან, ლესლი ირა პარკია. ის 16 წლის გოგონას გაუპატიურებისა და მკვლელობისთვის არის გასამართლებული. მეოთხე სიკვდილმისჯილი ალფრედ ბურჟუაა, რომელმაც საკუთარი ორი წლისა და ექვსი თვის ქალიშვილი მოკლა. მეხუთე სიკვდილმისჯილი დასტინ ლი ჰონკენსი, ხუთი ადამიანის მკვლელობისთვისაა გასამართლებული.

ხუთივე პატიმარს ინდიანას შტატში ტერე ოტის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დასჯიან სიკვდილით.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9171; ევრო - 3.2496;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6452;
100 რუბლი - 4.6236; თურქული ლირა - 0.5105;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7210;
1000 სომხური დრამი - 6.1296.

ამინდი 27 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+32
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+20,	დღე	+32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge